

მწყამსი

მწყემსან კითილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იონ. 10—11.

№ 3—4

1883—1908 წ.

29 თებერვალი

სინიღისის სამსჯავროს წინაშე.

(თარგმანი)

შუალამე გადასული იქნებოდა, როცა დიდ ქალაქში მოხდა რაღაც საშინელი ჩოჩქალი. ვიღაც კაცები ყვირილით მორბოდნენ ქუჩებში:

— უბედურება! უბედურება! აღსასრული მოვიდა! არავისი შებრალება აღარ იქნება!

ყვირილი გაისმა ბრწყინვალე დარბაზებში, სადაც ახალგაზღვრა თამაშობდა, საავადმყოფოებში, სადაც ისმოდა კენესა და მწუხარება ავადმყოფებისა, სარდაფების კუნქულებში, სადაც მიმალულიყო სიღარიბე. შეშინებული ხალხი გამოცვივდა სახლებიდან და მირბოდა მოედანზე, რომელიც იყო განათებული რაღაც ბოროტის-მომასწავებელ ელვარე სინათლით. ხოლო იქ, ხალხით სავსე მოედანზე, ამაღლებულ ადგილს, იდგნენ ვიღაც უცნობი კაცები, შავ ტანისამოსში გამოწყობილნი, და თვითველ მათგანს მარჯვენა ხელში ეჭირა ანთებული ჩირაღდანნი. ამავე ამაღლებულ ადგილს, იმათ წინ იდგა დედაკაცი. სახე იმისი იყო მედიდური, მაგრამ იმის წმინდა და ბრწყინვალე თვალებში, წყნარ პირი-სახეზე იხატებოდა ისეთი აუტანელი მწუხარება, იმოდენა გულითადი ტანჯვა, რომ კაცს იმის ერთ დანახვაზე შეუწუხდებოდა გული.

მოედანი გაივსო ხალხით. ლაპარაკი და ხმაურობა შესწყდა. ყველანი უცქეროდნენ დედაკაცს და იმის უკან მდგომ, შავ ტანისამოსში გამოწყობილ, ახალგაზდა კაცებს. დედაკაცმა თავზე ხელების ფშენვით დაილაპარაკა ჩქარისა და ყველასათვის გასავონარის ხმით:

— ხალხო! მე თქვენი სინიღისი ვარ; დავილა-

ლე, შევსწუხდი, მთლად დავიტანჯე. მე ვარ როგორც მტკივნეული ქრილობა. ოჰ! მეც რომ თქვენსავით შემძლებოდა სიმთვრალით მიძინება, გამოყრუება ცხოვრების ამოცებით, თავის მოტყუება! მაგრამ არა: მე თქვენი სინიღისი ვარ; მე არ შემძლიან თვალი მოვაშორო ქვეშაირტების სარკეს, რომელშიაც ვხედავ თქვენი გულის სიცრუეს; მეტი აღარ შემძლიან ავიტანო თქვენი უსამართლობა, უღმობელი სიბოროტე, მხეცური გარყვნილობა. მინდა საბოლოოდ გაგეყაროთ. ხედავთ ჩემს უკან რომ დგანან კაცები ხელში ჩირაღდნებით? ეს ჩირაღდნები უკანასკნელი გამოგონებაა თქვენის გონებისა. ამათში დაფარულია საშინელი დამლუბველი ძალა, რომელთანაც შედარებით ცეცხლი, ქირი, მიწის-ძვრა—არაფერია. როდესაც გადაადგდნენ თუნდა ერთ ჩირაღდანს მიწაზე, გაისმის აუტანელი, დამაყრუებელი ქექა, და მაშინვე რაც მიწაში, წყალში და ჰაერში ძალებია დამალული, ერთმანეთს საბრძოლველად დაეკეფებიან. ჰაერი დატრიალდება ცეცხლის გრივალით, მდინარეები და ზღვები ორთქლად გადაიქცევიან და დედა-მიწა დაიმხვრევა პატარა ნამტვრევებად. დაილუპება მთლად უსჯულო კაცობრიობა; და ჩემი მწუხარება, ჩემი ტანჯვა დასცხრება...

ეს სიტყვები რომ გაიგონა ხალხმა, ერთხმად შეჰლაღადა:

— შეგვიბრალო! შეგვიწყალო! გვაპატიე! ჩვენ სიცოცხლე გვწყურიან!

სინიღისმა უთხრა:

— გვაპატიე!.. შეგვიბრალო!.. სიცოცხლე გვწყურიან! ოჰ, ხალხო, ბავშვივით უგუნურო, სათამაშოს ტრფიალო, რომელიც თქვენ თითონ გააფუქეთ. ცხოვრება შეურაცხეთ, მოშხამეთ იგი

ბოროტებით, გააუბატიურეთ უსამართლობით და კიდევ ყვირით: „ჩვენ სიცოცხლე გვწყურიათ!“ განა ეგრე უნდა ცხოვრება?.. თქვენ მეხვეწებით პატიებას, თითქოს შურს ვაგებდეთ ჩემი შეურაცხებისათვის. მე ვიტანჯები არა ძვირით თქვენზე, არამედ სიყვარულით, თქვენის სიბრალულით; ვიტანჯები თქვენის ყოფა-ქცევის სირცხვილისა გამო. როდესაც დღე დაღამდება, ძილში, ან გულის თქმით გატაცებულთ, გავიწყდებათ თქვენი ცხოვრების სიწიბილე; მე-კი ღამის სიჩუმეში მარტოდ განვიკდი მთელს საშინელებას ვაკიცხული სიმართლის, დამცირებული სიყვარულის და გაუბატიურებულ სიწმინდისას. არა, თქვენდა განსაკითხავად კი არ მოვსულვარ მე, არა შურის საძიებლად, არამედ იმისთვის, რომ მოგცეთ თქვენ გამოხსნა ცხოვრების მძიმე უღლისაგან; მინდა სიკვდილით გამოგიტაცოთ თქვენ უსირცხვილობისა და მწუხარების ბრწყინებისაგან. თუ შეგიძლიათ, გამოდით სიცოცხლის დასაცველად. დამიმტკიცეთ, რომ სიცოცხლეს ფასი აქვს, რომ მასში არის მაღალი, წმინდა რამ, რომლის გულისთვისაც ღირს ცხოვრება და ტანჯვა. დამარწმუნეთ, რომ თქვენი ცხოვრება არ არის შეურაცხყოფა, არ არის გაწიბილება დედა-მიწისა, რომ თქვენ გაქვსთ უფლება ცხოვრებისა, რომ დამსახურებული გაქვთ იგი, და ვუბრძანებ ჩააქრონ ბოროტის მომასწავებელი ცეცხლები.

ბუნდოვანმა იმედმა განამხნევა ხალხი. დიწყეს ხმა-მალლა შეფიქრიანებული ლაპარაკი. შეძრწუნებული ხალხი ერთმანერთს ეკითხებოდა: ხომ არავინ იცის, რა არის წმინდა და მაღალი ცხოვრებაში; მაგრამ არავინ, მოედანზე და ქუჩებში მდგომმა, არ იცოდა ეს. იქ იყვნენ მოხელეები, მხედარნი, ვაჭრები, მემუსიკენი, მდიდარნი, და ყველამ საშინელის ელდით სცნო, რომ ისინი არც-კი ჰფიქრობდნენ: არის თუ არა რაიმე წმინდა ქვეყნად; იმათ მიაჩნდათ ცუდ-უბრალო ყბედობად მაღალ რამეზე ლაპარაკი და დასცინდნენ იმათ, ვისაც სიკეთის ძებნა სიმდიდრეზე და ღიდებაზე მალლა მიაჩნდა.

ეხლა ყველა ღელავდა, ხმაურობდა და ეხვეწებოდა სინილის დაეცადა.

— მოიცა ცოტა! ვიპოვით... უთუოდ ვიპოვით ისეთს, რომელიც გეტყვის, რისთვისაც

ღირს სიცოცხლე.

ამ დროს ხალხიდგან სწრაფად გამოვიდა ახალგაზდა ქალი, მაღალი, ტანადი და მეტად ლამაზი. მისი კისერი და გული თეთრად გამოსქვიოდა თხელ ტანისამოსში, რომელშიაც ერთი საათის წინად ის იყო გამეფებული მაღალ-ხმაურობიან ნაღიმში. გაიწვიდნა წინ მთლად ტიტველი მკლავები, და ხმა-მალლა აკანკალებულის ხმით შესძახა:

— გააქვრეთ ჩირალდნები! თქვენი პირისახე რათაა ეგრე დაღვრემილი და თვალები რატომ არ არის აღერსიანი? მოდით ჩემთან და მე გასწავლით თქვენ გაღიმებას. ახალგაზდობაში, სილამაზეში, სიყვარულის შეებაში, ღიზის სიამოვნებაში რამდენი სიხარულია! მე სიცოცხლე მწყურიათ.. განა არა ღირს სიცოცხლე? მოდით დასტკბით სიცოცხლით!

სანიდისი მოწყენილის თვალთ უცქეროდა ლამაზ ქალს და უთხრა:

— მშვენიერო პეველაგ! მხიარულო ბავშვო! ოჰ, მეც რომ შენსავით შემძლებოდა გაბრუება სიყვარულის აღტაცებით, და კირვეული ახალგაზდობის ღხენა ცხოვრების მაღალ შეებად მიმიჩნია! მაგრამ მე ვიცი, რომ სიამოვნებით დათრობა გაივლის ხოლმე, როგორც ღვინით სიმთვრალე, და სტოვებს თავის შემდეგ მძიმე შებრუებას. გიკტერი შენ, შეგხარი და ვფიქრობ: „რომელი სიწმინდის ნიშანია შენი სილამაზე?“ შენი აღერსი რათა სწავავს, უდაბნოს მწვავე პაპანაქების მსგავსად? რად აზნელებს იგი გონებას, აუძლოვებს ნებას და ახშობს მოვალეობის ხმას? რატომ ჰეშმარტად მორწმუნენი და მშვიდნი, წმინდანი გულითა, ყოველთვის სწყველიდნენ შენს სილამაზეს, როგორც სიბოროტეს და მაცდურებას? რატომ სულის სიმაღლის დროს ხალხი აღარ ჰფიქრობს შენზედ, ავიწყლები შენ, და მხოლოდ მოდუნების დროს, როცა ხალხს ავიწყდება სიწმინდე, მხოლოდ მაშინ მოიდრიკებიან შენს წინაშე, პატივს გცემენ და განაცვალბენ სიცოცხლეს?

„იმ დროს, როდესაც სამშობლო სასტიკ განსაცდელშია ჩავარდნილი, ქმრები ანებებენ თავს ცოლებს, საქრმოები — პატარძლებს; სამშობლოს სიყვარული სძლევს ხოლმე სილამაზის სიყვარულს. საშიშ გადამდებ სენის დროს ექიმები ეგრეთვე ივიწყებენ ქალის სილამაზის სიყვარულს, ანებებენ

თავს საყვარელ არსებას, და მიდიან ვნებულთა საშველად. იშვიათი არ არის მაგალითები, რომ მეცნიერნი, როდესაც უტხო ქვეყნების აღმოსაჩენად მოგზაურობენ, ან მუშაობენ თავიანთ სამეცნიერო კაბინეტებში და ლაბორატორიებში გადამდებ სენის წინააღმდეგ საშუალებათა გამოსაკვლევადა, — მეცნიერების სამსახურს აყენებენ მაღლა სილამაზის სამსახურზედ.

„მე აღარ ვამბობ, — განაგრძო სინიდისმა, — იმ ქრისტიანობრივ მოწამეობის ხანაზედ, როდესაც ყმაწვილი ვაჟები და ქალები მთელს ძალას სიყვარულისას ანაცვალდებდნენ ქვეყნისთვის ჯვარცმულს მაცხოვარს. მაშინ ქალისა და კაცის სიყვარული არ იქებოდა, როგორც ღვთაებრივი გრძნობა. იგი იყო, რადაც უნდა ყოფილიყო: ნიშნად გამრავლებისა, საფუძვლად ოჯახისა. მაგრამ აი დადგა დრო, როდესაც ხალხს გული გაუგრძობდა სახელმწიფოს მიმართ მიწაზე და სასუფეველის მიმართ ზეცაზე. ხალხმა არ იცის რითი შეავსოს თავის ცარიელი გული და დაუწყუო ერთმანეთს თაყვანისცემა: კაცმა — ქალს და ქალმა — კაცს. სიყვარულის სიამოვნებანი მიიჩნია უმაღლეს სიხარულად ქვეყნაზე; მაგრამ ცივდება სიძუროვალე სისხლისა, ჩლუნგდება ხორციელი ნდომა, კმაყოფილდება უშნო პირუტყვილი გრძნობა, — და ამნაირად, ცოტა ხნის ღვთაება განიდევნება მეფობისაგან.“

„არა, მშვენიერო ბავშვო, — გაათავა ლაპარაკი სინიდისმა, — არ შემძლიან შენი გულისთვის შევურიგდე ცხოვრების უსამართლოებას, არ შემძლიან მივიჩნია შენი ალერსი და სილამაზე ქვეყნის სიწმინდედ. შენ შხამავ ხალხის გულს, და კი არ უნებ წმინდა ცეცხლს. შენი გულისთვის მე არ ჩავაქრობ არც ერთ ჩირაღდანს.“

ახალგაზრდა ლამაზი ქალის ნაცვლად გამოვიდა წარჩინებული მეცნიერი, მოხუცი, მაღალის, სწორის შუბლით და ღრმად გამომეტყველი თვალებით. აუჩქარებლივ წარსდგა იგი წინ და სთქვა:

— შენ გინდა გაიგო რაში მდგომარეობს უმაღლესი მიზანი სიცოცხლისა, რისთვისაც ღირს შრომა, სიცოცხლე და ტანჯვა? თუ ნებას მომცემ, მე ვიტყვი. ხილული ქვეყნის თვისებათა გამოძიება-გამოკვლევა, შესწავლა ბუნებისა, მისი საიდუმლოების ასხნა, — აი უდიდესი ბედნიერება და, თუ გინდა, უმაღლესი მიზანიც ჩვენი სიცოცხლისა. ჯერ

კიდევ ყველაფერი არ არის გამოკვლეული, მეცნიერება არ არის ჯერ დამთავრებული, — მეცნიერების გულისთვის იპატიე, შეიბრალებ სიცოცხლე, დაგვაცადე ჩვენ ავხსნათ ბუნების ყველა საიდუმლო, დავიპყრათ მისი ძალები!

სინიდისმა უბასუხა მოხუცს:

— გიცნობ შენ, აუღელვებელი ქურუმო მეცნიერებისავე! გულსმოდგინებით თვალს ვადევნებდი შენს ყოველივე ნაბიჯს: მთელ ღამეებს ვათევდი შენთან ერთად შენს ლაბორატორიებში, მუზეუმებში და კაბინეტებში; შენთან ერთად ავდიოდი მთის მწვერვალზედ, ჩავდიოდი მიწის გულში, მწყურვალე დავდიოდი გახურებულ უდაბნოში, ვიყინებოდი ყინულებში და თოვლში. მოწიწებით ვხედავდი შენს მეცნიერულ აღმოჩინებათ, მაკვირვებდა შენი ცოდნა და ძლიერება ბუნების ძალებზედ.

„მე მწამდი, შენი იმედი მქონდა; მეგონა შენ წაიყვანდი კაცობრიობას ბედნიერებისაკენ, სიმართლისაკენ და ბოროტისაგან გაანთავისუფლებდი. მაგრამ მწარედ მოვჭტყუედი!“

„შენ მეცნიერებით შემოიარე ქვეყნის ყველა ადგილები, გაიგე ცის ვარსკვლავთა ვითარება, სისხლის მოძრაობა; შენ ამხსენი საიდუმლოება ზღვის ძირისა და მიწის შუაგულისა; მაგრამ რისთვისაა ყველა ეს, რა აზრია მთელი ამ ქვეყნიერების შენობისა, და ვინ არის მისი პატრონი, — შენ არ შეგიძლია ეს გამოიცნო. შენ დაუმორჩილე კაცს ბუნება, შენ მიეცი მას უფლება ელვაზე, ორთქლზე, მაგრამ არ შეგიძლიან აჩვენო მას, საით მიმართოს იმან თავის ძალა. შენი აღმოჩინებანი ხალხის ხელში არის როგორც ცეცხლი ბრმის ხელში: იმას შეუძლიან იმითი გაანათოს და დაათბოს, მაგრამ შეუძლიან დაწვას სხვაც და თავის თავიც. შენ არ გაინტერესებს ის, თუ რას უზამს ხალხი შენს აღმოჩინებას, რაზე მოიხმარს მას. შენ ერთნაირად ამპარტავნობ აბჯარიტ ტყვიისაგან თავის დასაცველად, და ნაღმით აბჯარის დასაშლელად; შენ ერთნაირ გულსმოდგინებით ჰპოულობ გახსნა სადგომების გასანათებლად და გახსნა ხალხის გასაწყვეტად ომში.“

„შენ ამბობ: „დაგვაცადე, ყველაფერი გავიგოთ; შეგვიბრალებ მეცნიერების გულისთვის“ — ო!

„რომელი მეცნიერებისთვის? უმაღლესი მეცნიერება არის სიცოცხლის მეცნიერება. შენ იცი,

როგორ სცოცხლობს ნამცეცი, ქინკლა, პატარა ქია; მაგრამ იცი, როგორ უნდა სცხოვრობდეს კაცი? შენ გაიგე, თუ მე, თქვენი სინიდისი, თქვენ უნივერსიტეტებში, მუზეუმებში და ბიბლიოთეკაში ისე ვეწვალე, როგორც უეც ხალხში; თუ კი კაცი ნასწავლი წინანდებურად იქნება მტაცებელი, სუსტის შემავიწროებელი, უღმობელი თავის-მოყვარე, — რა სარგებელი მექნება შენი მეცნიერებიდან?

„შენ ვერ დაამწვიდებ ჩემს მწუხარებას. მე არ შემოძლია ვსცნა შენი შრომა კაცისათვის უმაღლეს სიკეთედ.

„შენი ცოდნის სინათლის გამო მე არ გავაქრობ ჩემ ჩირაღდნებს. ვერ მაჩვენე მე, რისთვის ღირს სიცოცხლე“.

ხალხიდან გაისმა ახალი ხმა:

— თუ შენ არ შეგიძლიან მიიჩნიო მეცნიერება ჩვენი სიცოცხლის სიწმინდედ, მაშ დასთანხმდი, რომ წინაშე ხელოვნებისა, წინაშე მხატვრობისა, წინაშე მუსიკისა — შენ მოსდრკები. მაგლობელი და საზოგადოდ მემუსიკე, საუცხოო ბევრით, მთელს თავის სულს გვიჩვენებს; სულ-განაბლონი მსმენელნი ათასობით ყურს უგდებენ მას. მხატვარი თავის მადლიანის ნიჭით აცოცხლებს ცივს მარმარილოს, მკვდარ თიხას, სამარადისოდ ჰყოფს რკინით აზროვნებას; იმის ფერად საღებავებს გამოჰყავთ ცხოვრება ცოცხალ სახეებში. მისი ნახატები და ქანდაკება მართლაც სიწმინდეა ქვეყნისა; მათში ღვივის ღვთის ნაპერწკალი. მხატვარმა განახორციელა მათში თავისი სული; იმან, როგორც შემოქმედმა, თავის ნაწარმოებს შთაჰბერა უკვდავი სული.

— ხელოვნება! წმინდა ხელოვნება! — შესძახა ერთხმად ხალხმა. შეგვიბრალე ჩვენ ხელოვნების გულისთვის! შეჰხედე, რამდენი სურათების გალღერეა და მუზეუმები გვაქვს! ჩვენ ვხარჯავთ დიდძალ ფულს ქანდაკებაში და სურათებში; ჩვენ ვაღიღებთ პოეტებს, მხატვრებს, მემუსიკეებს; ისინი ჩვენი ღიდება და ამპარტავნებაა! შეგვიბრალე ხელოვნების გულისთვის!

— მე გთხოვთ, მიჩვენოთ, რა არის წმინდა და მაღალი თქვენს ცხოვრებაში, — უთხრა სინიდისმა; — თქვენ მისახელებთ ხელოვნებას; მაგრამ წმინდა უნდა სწმინდადდეს, მაღალი ამაღლებდეს, როგორც სითბო ათბობს და სინათლე ანათებს.

ხელოვნების მსახური პირველად თითონ რატომ არ აჩვენებენ სიწმინდის მაგალითს და სიმაღლის იდეალს? იმათ ნათლად გამოჰყავთ ცხოვრება სურათებზედ, თითქოს აცხოველებენ მარმარილოს და რკინის ქანდაკებათ. მაგრამ როგორ ცხოვრებას ხატავენ ისინი და შეაქვთ უსულო თიხაში და ქვაში? „სიცოცხლე თავის თავად ცოტად ღირს, — ამბობდა ძველი დროის ბრძენი, — იმისი ფასი არის დამოკიდებული იმ შინაარსზე, რომელიც ჩვენ შეგვაქვს მასში“. მე, თქვენი სინიდისი ვიტანჯები ადამიანის ცალიერი ცხოვრების გარყვნილებით, სიცუდით; და თუ ხელოვნება ამ სიცალიერეს, სიცუდესა და გარყვნილებას თვალნათლად წარმოადგენს თავის ნაწარმოებში, — მაშ რაღად უნდა მივიჩნიო მე იგი ქვეყნის სიწმინდედ და სიმაღლედ? თუ კი ხორციელების სიღამაზე, ცოცხალ ღამაზე ქალში განხორციელებული, ვერ მივიჩნიე სიწმინდედ, მაშ აღფრთოვანებული სიმღერა იმავე ხორციელებაზე, სურათი, ქანდაკება, — ხორციელი სიღამაზის გამოხატულება, — რატომ იქნება წმინდა? გარეგნული სიმშვენიერე არ უმატებს ფასს შინაგან სიცალიერეს. ამისთვის მომეტებული ნაწარმოები ხელოვნებისა არის მხოლოდ გარეგნული დამშვენება ცხოვრებისა, და არა კეთილად გარდამქმნელი და ამამაღლებელი მისი. ბევრი საგანი ამშვენებს თქვენს მუზეუმებს, მაგრამ მათი მნახველების ცხოვრება-კი ცოტათია დამშვენებული სიმართლითა და სიკეთით! არა, მე არ შემოძლიან ჩავაქრო ჩირაღდნები. ხელოვნება ძვირად ღირს ხალხისათვის, მაგრამ იმას არა აქვს ფასი ქვეყნის სიწმინდისა. ყველა ეს თავის-მოტყუებაა, გარეგნული გამშვენიერებაა შინაგანი სიღარიბისა, ხალხის სულიერი სიგლახაკისა. დროა გადავაგდოთ ცბიერება, აღარ შემოძლიან მეტი მოთბენა ფარისეველობისა და ტყუილისა.

„გადავადეთ ჩირაღდნები — მიუბრუნდა სინიდისი თავის თანამგზავრებს. დაე სიკვდილმა მოსპოს საუკუნოებით დამყარებული უსამართლობა!“

ახალგაზრდებმა მალლა ასწიეს ჩირაღდნებს. ბოროტის მომასწავებელი ცეცხლები აპრიადღენ და გაანათეს გარშემო ხალხი, მოცული სასიკვდილე სანთლებით და სასოწარკვეთილების მწუხარებით. ხალხს ჩაუწყდა ხმა. ყველანი ელოდნენ დასასრულს, უცებ მოისმა ხმა:

— დაიცა! დაღუპვა ადვილია. იფიქრე, არ შეიძლება დაღუპულების ხსნა?

ამას ამბობდა ყველასათვის უცნობი ახლად მოსული. მისი მოუძღვრებელი პირისახე, დანაკლებული შუბლი, ღრმა, დაფიქრებული გამომეტყველება—ამტიკებდნენ მასში სასტიკ ღვაწლს მარხვისას და ლოცვისას, დიდი ხნის შინაგან მოქმედებას, ღრმად ჩაფიქრებას, სულის სიწმინდეს და მშვიდობას. ხალხმა მაშინვე გაიწია და გზა მისცა მას. ბევრმა, იმედ-მოსულმა, დაუწყეს ძახილი:

— სთქვი! სთქვი! დაარწმუნე ის; უთხარი, რომ არის წმინდა რამე ქვეყანაზედ, რომ სიცოცხლე სჯობია სიკვდილს.

მოსული წარსდგა წინ და სთქვა:

— მე, ეს არის ეხლა მოვედი უდაბნოდან, სადაც რამდენიმე წელიწადი მარტოდ გავატარე. მეც შენსავით დიდხანს ვიტანჯებოდი, როდესაც ვუყურებდი ხალხის უსამართლოებას და ბოროტებას. დიზაგრულთა ცრემლები, როგორც გამდნარი ტყვია, ისე მეცემოდნენ გულზე; ხალხის თავხედური გარყვნილება მიწამლავდა სიცოცხლეს; სული მიგუბდებოდა საყოველთაო ბოროტებით, გამცემლობით და მონობით. მეტი ველარ მოვითბინე.

დავსწყევლე ბოროტება და წავედი უდაბნოში; მაგრამ მე არ დამიწყევლია ხალხი და სიცოცხლე; არ დამვიწყებია ქვეყანა. ბევრი წლები მარტოდ გავატარე ცხოვრების წიგნის, მაცხოვრის სიტყვების კითხვაში, და ვამბობ, რომ ქვეყნად არის სილიადე, რომ ცხოვრებაში უნდა იყვეს წმინდა. შენ გაჭიკცხე შენი სამსჯავროს წინაშე სილამაზეც მისი ს ამოგნებით, ამაყი მეცნიერებაც და ხელოვნება, — შენი მსჯავრი სამართლიანია. **ასეთებს, როგორც ისინი არიან**, არ შეუძლიანთ ხსნა მოუტანონ ქვეყანას: სილამაზეს მოაქვს უშნო სიამოვნება, მეცნიერება ემსახურება სარგებლობას, ხელოვნება გარეგნულის მშვენიერებით ჰფარავს სულის სიღატაკეს. ამ ჭურჭლებში სდგას სასმელი არა დიდი ღირსებისა. ამიტომ, თუ გინდა სიკეთე ხალხისათვის, ნუ მოსწყლავ სიცოცხლეს, ნუ დაამტვრევ და ნუ შეიზიზღებ მის საუკეთესო ჭურჭლებს; შენ ამათში მხოლოდ განაახლე სასმელი. როგორც ქრისტე მაცხოვარმა კანას ქორწილში შესცვალა წყალი ღვინოთ, აგრეთვე შენც ქრისტეს იმავე ძალითვე შესცვალე ვითარება აწინდელი სილამაზისა,

მეცნიერებისა და ხელოვნებისა. ეხლა სხეულის სილამაზე გასაგებია მხოლოდ სხეულისთვის; ის, როგორც ზეთი ცეცხლზედ, აღვიძებს და აღვივებს უშნო ნდომას კაცისას. გააცისკროვნე სილამაზე სულის სიმშვენიერით, და მაშინ ბრწყინვალე მუქმშინავი თვლები მშვენიერი სახისა გააღვიძებენ არა გულის-თქმას, არამედ სულის შემთავილ საუკეთესო გრძნობებს.

„მეცნიერება სწავლობს ბუნებას და უმორჩილებს კაცს მის ძალებს; ის შეადგენს კაცის სიამაყეს და მოასწავებს მის დიდებას. შენ სხვა მიმართულება მიეც იმას. დაბადების პოეტი ამბობს: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასა.“ დაე მეცნიერებამ აუხსნას ხალხს ეს სილიადე ღვთის დიდებისა; დაე იმან ცხადად აუხსნას ხალხს გონიერობა ქვეყნის გაჩენისა, გააკვიროვს ჩვენი გონება ქვეყნიერების საოცარის წყობილებით, ჩავგინერგოს მოწიწება უზენაესის არსების მიმართ. დაე, იმან აჩვენოს კაცს სილიადე უზენაესისა; მაშინ მეცნიერება გაუღვიძებს კაცს მაღალ გრძნობას, მაშინ თითონ იგი იქნება ქვეყნად მაღალი და წმინდა.

ხელოვნება გვიხატავს ცხოვრებას, მაგრამ, თუ ცხოვრება ცუდია, განა იმის დახატვა ღირს? განა აქვს აზრი იმის დახატვას ან ფერადის საღებავით, ან მარმარილოთი, ან რკინით? მხატვარი ზეგარდმო ნიჭით ცხებულო, უნდა სცდილობდეს, რომ აგვიწიოს ჩვენ ზევით, აღვიმალლოს სული, გაგვიკეთილოზობილოს გული. იმისი მიზანი უნდა იყვეს, გვიჩვენოს ცხოვრება ისე-კი არა, როგორც არის იგი, არამედ ისე, როგორც უნდა იყვეს. იმისთვის მისაწვდომია, ჩვენთვის მიუწვდომელი სიმაღლე სულისა; დაე ის ჩახვდეს, კარგად გაიგოს, — და ჩვენ გადმოგვცეს კეთილ-ხმიან ლექსად, თვალსაჩინო ნახატებში და ცხოველ სახეებში უმაღლესი სილამაზე ცხოვრებისა: სიმშვენიერე სიმართლისა, სიყვარულისა და სიკეთისა.

„და მაშინ მართლაც წმინდა იქნება ხელოვნება. ხელოსანი ძვირფასი იქნება ქვეყნისთვის იმითი, რომ კეთილ გრძნობებს აღუზნებს ხალხს. მაგრამ სხვას რომ გაუნათოს, უნდა თითონ ჰქონდეს სინათლე, თორემ „როგორ იქნები წინგამძლოლი, თუ-კი გზა არ იცი?“

„ხოლო გზა ნამდვილი ცხოვრებისა შეუძლიან კაცს ისწავლოს იმისგან, ვინც თავის თავზე სთქვა:

„მე ვარ გზა, ქვეშარიტება და ცხოვრება.“ მხოლოდ ამ გზაზედ შეიძლება ცხოვრების ნამდვილი ფასის გაცემა; და აი ვასწავლოთ ხალხს, ქვეყანას, ახალი გზა.

„კაცობრიობის წინანდელმა ცხოვრებამ დიდად განგარისხა. შენ, შეწუხებულს ხალხის სინიღისს, იმედ-გადაწყვეტილს, რადგან ვერ ჰპოვებ ქვეყნად მაღალსა და წმინდას, განგიზარახავს გასწყვიტო მთელი კაცობრიობა. ტყუილად! მოიგონე ხალხის მიერ ჯვარცმული ძე ღვთისა. იგი გეთსამანიის ბაღში განიციღიდა მეტს ტანჯვას, ვიდრე შენ; მაგრამ მაინც გოლოგოთაზე-კი არ სწყველიდა ხალხს, არამედ ლოცულობდა მათთვის.

„მაღალი და წმინდა არის ქვეყნად, ეს — სიმართლე და სიყვარული ქრისტესი. და შენ, სინიღისსო, ჩააქვრე შენი საზარელი ჩირაღდნები და იმათ ნაცვლად ანთე სახარების სანთელი; მითი ჩამოდი მაგ ამაღლებულ ადგილიდგან და მიდი ამ უგუნურ ხალხში; უბოროტოდ, უსაყვედუროდ ჩამარხე შენს გულში მწუხარება, და გაუნათე თვითეულს მათგანს დაბნელებული სული. თუ ერთი ადგილიდგან განგდევნეს, მიდი მეორე ადგილს. დამიჯერე, უბინაოდ არასოდეს არ დარჩები.“

მეუდაბნოემ გაათავა ლაპარაკი. აღმოსავლეთისკენ ცამ მტრედის ფრად ირაჟრაჟა. განთიადი უკვე დაიწყო. განთიადთან ერთად, მეუდაბნოეს სიტყვების შემდეგ, სინიღისს გაუნათდა შეწუხებული პირისახე. იმან ჩააქრო საშინელი ჩირაღდნები, ანთო წმინდა ზეთის კანდელი, ჩამოვიდა ამაღლებულის ადგილიდან და მაშინვე შეერია და დაამალა ხალხში..

მკითხველო! თუ რომ ხან-და-ხან გაიგონებ თუნდაც სუსტ ხმას გულის ძვერისას, ყური ათხოვე იმას: ის ქვეყნიური ტანჯული — სინიღისი ხალხისა — გთხოვს თავშესაფარს. გაუხსენ იმას სული, და მიიღე თუნდ დროებით მაინც ღვთის სტუმარი!..

მღ. იოანე ლუკიანოვი.

სურნალ-გაჯითაგიღვან

ოფიციალური ცნობა

დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და იუსტიციის მინისტრის მოკვლის განზრახვაზე

ბოლოს დროს ცნობები იყო მიღებული, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიას გადაეწყვიტა მოკვლა დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა, იუსტიციის მინისტრისა, შჩეგლოვიტოვისა და უმაღლეს მთავრობის რამდენისამე სხვა წარმომადგენლისა; იმ ბოროტ-მოქმედების ასრულება დავალებული ჰქონდა იმ პარტიის ორგანიზაციას, რომელიც „ჩრდილოეთ ოლქის მფრინავ მებრძოლ რაზმის“ სახელს უწოდებდა თავის თავს. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ „მფრინავ რაზმის“ წევრნი ზვერავენენ დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სასახლესა და იუსტიციის სამინისტროს შენობას. სამი მათგანი წი თებერვალს იუსტიციის სამინისტროს გასავალ კარებთან დამდგარიყო და შჩეგლოვიტოვის გასვლას ელოდებოდა, მაგრამ მინისტრი წინაღვე გააბრთხილეს და იმდღეს სახლიდან აღარ გამოსულა. 7 თებერვალს მფრინავ რაზმის წევრნი ხელახლად გაჩნდნენ იმე სახლების რაიონში, ამიტომ პოლიცია ყველა შენიშნულ პირების დატუსაღებას შეუდგა. პეტერბურგის სხვა და სხვა ადგილებში, უმთავრესად ხსენებულ ადგილების ახლო, დაატუსაღეს, პირველი, — ქალ. ჩიტის მოქალაქე ლევ სერგეის ძე სინეგუბი, რომელსაც ტანისამოსს ქვეშ ძლიერი ასაფეთქებელი მანქანა უპოვეს, მეორე — ლიდა ავგუსტის ასული სტურე, რომელიც შეეცადა დამალვას და პოლიციელებს უნაყოფოდ ესროლა ბრუნინგის სისტემის რევოლვერი, მესამე — პერმის გუბერნიის გლეხის ქალი ანნა მიხეილის ასული რასპუტინა, რომელსაც სახელურში უპოვეს სასროლი ყუმბარა. ამნაირივე სახელურში რასპუტინას ჰქონდა წი თებერვალსაც, როცა იუსტიციის მინისტრის სადგომთან მდგარიყო. მეოთხე — უცნობი კაცი, რომელსაც ამნაირივე ყუმბარა ჰქონდა და თავის თავს იტალიის ქვეშევრდომის მარია კალვინოს სახელი უწოდა; გაჩხრეკის დროს ამას აღმოაჩნდა პასპორ-

ტი იტალიაში ქალ. პორტომარიცოს პრეფექტის მიერ მიცემული, სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში შესასვლელად საჭირო მოწმობა, რომ კალვინო იტალიურ გაზეთების „ლა ვიტა“ და „ილ ტემპოს“-ს კორესპონდენტად იყო, ამნაირივე მოწმობა იტალიის აქაურ საელჩოსა და ხსენებულ გაზეთების რედაქციების ბლანკზე, აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა და წერილი იტალიურსა და რუსულს ენებზე. მეხუთე — ტურუხანის ოლქიდან გაქცეული სერგეი გაბრიელის ძე ბარანოვი, რომელიც წინა დღეს იუსტიციის მინისტრის გამოსვლას ელოდებოდა. იგი შეიარაღებული იყო ბრაუნინგის სისტემის რევოლვერით. მეექვსე უცნობი ქალი, რომელიც თავის თავს რევოლიუციონურ სახელს კისხას უწოდებდა. ამ ქალმა პოლიციის სამმართველოში რევოლვერით დასჭრა „გოროდოვოი“. მეშვიდე — ვიატკის გუბერნიის გლეხი ალექსანდრე ფილბეს ძე სმირონოვი; ამანაც დატუსაღების დროს ორი პოლიციელი დასჭრა; იმის სადგომში იპოვნეს ორი ყუმბარა და პოლიციელის სრული ტანისამოსი. მერვე — ტენიკი პეტრე კონსტანტინეს ძე კონსტანტინოვი, რომლის სადგომიდან წამოიღეს თუნუქა თეთრის მქუხარე ვერცხლის წყლის 27 კაფსულით, ორი ამფეთქებელი გოგირდის სიმყავით, ბერტოლეტის მარლით და შაქრით და ქამარი მქუხარე ვერცხლის წყლის გილზებით. მეცხრე — პორუჩიკის ქალიშვილი ვერა ლეონიდის ასული სანჩევსკაია, რომლის სადგომში აღმოჩნდა ორი არა ლეგალური პასპორტი, გატენილი ბრაუნინგი ორის მარქაჟა უდით, ოფიცრის ტემლაკი, ნაირ-ნაირი ნივთები, ომბის საკეთებლად საქირონი, ქუდი იუსტიციის მინისტროს ნიშნით, პეტერბურგის ორი პლანი ნიშნებით. მეათე — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ათანასი ივანეს ძე ნიკოლაევი. პოლიციის მიერ გამოძიების დროს კონსტანტინოვი და უცნობმა კისამ დაამოწმეს, რომ ხსენებულ მფრინავ მებრძოლ რაზმს მიზნად ჰქონდა მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძისა და იუსტიციის მინისტრის მოკვლა; რაზმის წევრთ მობარაკება ამ ბოროტმოქმედების შესახებ გამართული ჰქონდათ იანჩევსკაიას სადგომში, სადაც დროებით ინახებოდა ფინლანდიიდან მოტანილი ყუმბარა. უცნობმა ქალმა დაუმატა ამას, რომ წ თევალს იუსტიციის მინისტრის მოკვლას ვაპირე-

ბდი რევოლვერითაო, და ეს განზრახვა მხოლოდ იმიტომ ვერ ავასრულე, რომ მინისტრის ეტლში ჩახდენენ ვიღაც ქალები და არა მინისტრიაო.

დანარჩენ ბრალდებულთაგან რასპუტინამ, სტურემ, სმირონოვმა, კალვინომ და სინეგუბმა უჩვენეს, მონაწილობას ვიღებდით მებრძოლ რაზმშიო. რასპუტინამ ამას გარდა განაცხადა, რომ ხელმწიფის მოკვლის განზრახვა არა გვექონიაო, დანარჩენთ კი ყოველ ჩვენებაზე უარი სთქვეს, როგორც ამ კითხვაზე, ისე საქმის არსებით მხარეზე.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ყველა ბრალდებულთ დიდი საიდუმლო მისვლა-მოსვლა ჰქონიათ ერთმანერთთან. რასპუტინასა, კალვინოსა და სინეგუბს ხომ ყუმბარები უბოვეს, გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ პირველი ყუმბარა იწონიდა—8 გირვან., მეორე—6¹/₂ გ, მესამე—8 გირვ.; ყუმბარები გატენილი იყო ელექტროდინამიტით და ამფეთქებელიც თავის ადგილზე იყო დამდგარი.

ხსენებულ პირთა საქმე პეტერბურგის სამხედრო საოლქო სასამართლოს გადაეცა ომის დროის წესების ძალით გასაჩივრად. 14 თებერვალს სასამართლოს მიერ საქმის გარჩევის დროს ბრალდებულთ რასპუტინამ, სტურემ, სმირონოვმა, კალვინომ, ბარანოვმა, სინეგუბმა და კისამ განაცხადეს, რომ „ჩრდილოეთის მფრინავ მებრძოლ რაზმის“ წევრები ვიყავით, ეს რაზმი ემზადებოდა მინისტრ შჩეგლოვიტოვის მოსაკლავად, ხოლო ყველანი უარს-ჰყოფდნენ დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის მოკვლის განზრახვას; რასპუტინამ განაცხადა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის რწმუნებულის საშუალებით წინადადება მოგვცა ამ საქმეს შევედგომოდით, მაგრამ ჩვენ არ დავსთანხმდითო. კერძოდ ბარანოვმა განაცხადა, ვიცოდი, რომ მინისტრის მოკვლის განზრახვა ჰქონდათ, მაგრამ პირადად მონაწილეობა არ მიმიღია ამ საქმეში, მინისტრის კარებზე მხოლოდ ცნობის-მოყვარეობით ვიდექია; სინეგუბმა განაცხადა, 7 თებერვალს ყუმბარა უნდა მესროლა შჩეგლოვიტოვისთვის, მაგრამ წ თებერვალს არა ვყოფილვარ იმ ადგილას, სადაც მოკვლა იყო განზრახული. ბრალდებულმა კისამ იარაღით წინააღმდეგობაზე ჩვენების მიცემა არ მოისურვა. ბრალდებულთ სტურემ და სმირონოვმა, რომელთაც ასეთივე ბრალდება წარუდგინეს, განაცხადეს: პირველმა—არა მქონდა განზრახვა პოლი-

ციელისათვის მესროლა, მხოლოდ ნიშნის მიცემა მინდოდა, მაგრამ ბრძოლის დროს ხელი ამიცდა და ტყვია სხვა მხარეს გავარდაო; მეორემ— აგენტებს იმიტომ ვესროლე, რომ ამას ჩემ მოვალეობადა ვსთვლიო. იანჩევსკაიამ და ნიკოლაევმა სრულიად უარპყვეს თავიანთი მონაწილეობა ამ საქმეში. კონსტანტინოვმა განაცხადა: სოციალისტ-რევოლიუციონერების მებრძოლ რაზმს ვეკუთნოდი, ჩემ ნაცნობ ქალთან იანჩევსკისთან დავიარებოდი, იმასთან გავიცანი ნიკოლაევი, რომელიც ამავე პარტიას ეკუთვნის. როცა იანჩევსკაიაც პარტიის წევრად გახდა, მაშინ იმასთან იმართებოდა კრებები, რომლებზედაც სხვათა შორის დაიარებოდა სერგეი ბარანოვი. წარსულ წლის შემოდგომაზე ბარანოვმა სთქვა, ჩრდილოეთის ოლქის მებრძოლ რაზმს ვეკუთვნო, და წინადადება მომცა, ორგანიზაციაში შემოდიო, რაზედაც დავსთანხმდი და როგორადაც რაზმის წევრი, ვინახავდი ორგანიზაციის მიერ დამზადებულ ასაფეთქებელ მასალას და, სხვათა შორის, იანჩევსკაიას სადგომში ოთხი ყუმბარა ვნახეო. კონსტანტინოვის სიტყვით, მებრძოლ ორგანიზაციას ეკუთნოდნენ ლიდია სტურე, ალექსანდრე სმირონოვი, უცნობი ქალი კისა, რასპუტინა და ბარანოვი. ბარანოვისაგან კონსტანტინოვმა შეიტყო, რომ ორგანიზაციამ განიზრახა დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და იუსტიციის მინისტრის მოკვლა და რომ ამ საქმეში სხვათა შორის მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბარანოვს, სმირონოვს და კისას, მაგრამ კონსტანტინოვი ამხანაგად არ მიუღიათ და შეთქმულების საქმე დაწვრილებით არ გაუზიარებიათ მისთვის. ბრალდებული, რომელიც თავის თავს კალვინოს უწოდებდა, თავისუფლად, მხოლოდ ცოტადენის აქცენტით, ლაპარაკობდა რუსულს, უარი უთხრა სასამართლოს და თავისი გვარი, შთამამავლობა და ქვეშევრდომობა არ გაუჩვენა. როცა განაჩენი გამოუცხადეს და თავმჯდომარემ მეორედ ჰკითხა იგივე, კალვინომ კიდევ უარი მიუგო.

სამოსამართლო გამოძიების მიერ აღმოჩენილ საბუთების და ბრალდებულთ ჩვენების ძალით სამხედრო-საოლქო სასამართლომ სცნა ყველა ბრალდებულნი დამნაშავედ იმაში, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ბოროტ-მომქმედ საზოგადოებას, სახელად „სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის ჩრდი-

ლოეთ ოლქის მფრინავ მებრძოლ რაზმს“, რომელსაც მიზნად ჰქონდა მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელთა დაზოცვით რუსეთის აწ არსებულ წესწყობილების ძალით დაშობა და მის მაგიერ დემოკრატიულ რესპუბლიკის დაწესება, რისთვისაც საზოგადოებას ჰქონდა დამზადებული ასაფეთქებელი ყუმბარები და იარაღის საწყობები. ამას გარდა იგივე პირები, იანჩევსკისა, კონსტანტინოვისა და ნიკოლაევის გარდა, დამნაშავედ იცნეს იმაში, რომ თავიანთ მიზნის მისაღწევად განიზრახეს მოკვლა გვარდიისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის უფროსის დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და იუსტიციის მინისტრის შჩეგლოვიტოვისა, მაგრამ თავიანთი განიზრახვა მხოლოდ მათგან დამოუკიდებელის მიზნებისა გამო ვერ შეასრულეს, ამის გამო სასამართლომ მიუსაჯა ლევ სინეგუზს, ალექსანდრე სმირონოვსა, კალვინოსა, ანა რასპუტინასა, ლიდია სტურესა, სერგეი ბარანოვსა და უცნობ ქალს კისას—სიკვდილით დასჯა დახრჩობით, ხოლო ბრალდებულთ ვერა იანჩევსკაიას, პეტრე კონსტანტინოვსა და ათანასი ნიკოლაევის კატორგა: იანჩევსკაიას 10 წლით, კონსტანტინოვს და ნიკოლაევის 15 წლით. ეს განაჩენი უკვე დამტკიცებულია სათანადო წესით და აღსრულებულ იქნა, მხოლოდ იანჩევსკაიას კატორგის ვადა ხუთ წლამდე შეუმცირეს. (ისარი*).

სახელმწიფო სათათბირო

დებუტატები ხელმწიფესთან. 13 თებერვალს 304 დებუტატი სახელმწიფო სათათბიროსი საგანგებო მატარებლით ცარსკოე სელოს გაემგზავრა. სასახლეში ისინი დიდ დარბაზში დაამწყრივეს იმ გუბერნიების მიხვედით, რომელთა წარმომადგენლებათ არჩეულნი არიან. ნაშუადღევს 2 ს. 30 წუთზე დარბაზში შევიდა ხელმწიფე იმპერატორი. დებუტატები „ურა“-ს ძახილით მიეგებნენ. ხელმწიფე მიესალმა მათ და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მხიარული ვარ, რომ ჩემთან გხედავთ თქვენ, და ვისურვებ თქვენ მუშაობის წარმატებას, რომელიც, როგორც სჩანს, ნორმალურ კალაპოტში ჩადგა ეხლანდელს სათათბიროში. გახსოვდეთ, რომ მე მოგიწვიეთ რუსეთისათვის საჭირო კანონების შესამუშავებლად და აგრეთვე იმისთვის, რომ დამეხმ-

რომ წესიერებისა და სამართლიანობის დამყარების აქმეში. ყველა იმ კანონ-პროექტებიდან, რომელიც ჩემის განკარგულებით, წარმოედგინა სათათბიროს, უფრო მნიშვნელოვანად შე ვსთვლი გლეხთა იწითელმოხუცების საქმის გასაუმჯობესებელ კანონ-პროექტს და ამასთანავე გაგახსენებთ იმას, აც არა ერთხელ აღმინიშნავს: არასოდეს არ მოაწონებ ისეთ კანონს, რომელიც ვისიმე კერძო კუთარების უფლების დარღვევა იქნება. საკუთრების უფლება წმინდა უნდა იყოს და მტკიცედ უნდა იქნას უზრუნველყოფილი კანონებით. ვიცი, რა აზრითა და გრძობით მოსულხართ ჩემთან. რუსეთი იზრდებოდა და ძლიერდებოდა მრავალ წლების განმავლობაში იმიტომ, რომ რუსებს მხურვალედ სწამთ ღმერთი, ერთგულნი არიან მეფეებისა და უსაზღვროდ უყვართ თავისი სამშობლო. სანამ ეს გრძობანი ასულდგმულებენ ყოველ რუსს, რუსეთი ბედნერი იქნება და ძლიერი. თქვენთან ერთად ვევედრები ღმერთს, რომ ეს გრძობანი მუდამ ცოცხალნი იყვნენ რუსთა გულში და რომ ბედნიერების მზემ გაანათოს ჩვენი ძლიერი ქვეყანა“. ხელმწიფის ამ სიტყვას დებუტატები „ურას“ ძახილით მიეგებნენ. დარბაზში ამ დროს შემოვიდნენ დედოფალი და მემკვიდრე ცესარევიჩი. ისევ „ურა“ გაისმა. ხელმწიფე, დედოფალი და მათ შუაში მდგომი ცესარევიჩი მივიდნენ დებუტატებთან, ჩაუარეს თით და ბევრს მათგანს ხელმწიფე ესაუბრა. შემდეგ ისეთი უდიდებულესობანი დარბაზიდან გავიდნენ. დებუტატებს საუბრე გაუმართეს, რომლის დროს ხელმწიფის, დედოფლის, მემკვიდრის და მთელ სახელმწიფოს ოჯახის სადღეგრძელო დალიეს. ჰეტერბურგს რუსებისას დებუტატებმა ყაზანის საკათედრო ოცსიაში სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. (დ. ს.)

გარეშე პოლიტიკა. 27 თებერვლის სხდომა-ახ. სათათბიროს პირველად ჰქონდა კამათი შე პოლიტიკაზე. მორიგი საკითხი იყო—იაპონი რუსეთის სადიპლომატო მისიის სრულ უფრანსაველად გადაქცევა. საკითხის შესახებ რადებო სიტყვები სთქვეს: ოქტომბრისტების ერთა გუჩკოვმა, გარეშე საქმეთა მინისტრმა ლსკიმ და კადეტთა ლიდერმა მილიუკოვმა. გუჩკოვი, ოქტომბრისტების ფრაქციის სახე-მიემბრო მთავრობის პროექტს და განაცხადა:

იაპონიაში ჩვენი მისიის გადაქცევა პირველხარისხიან საელჩოდ სრულიად შეეფერება იმ საერთა-შორისო როლს, რომელსაც იაპონია ასრულებს, როგორც პირველ-ხარისხიანი სახელმწიფო; შეეფერება აგრეთვე იმ სერიალულ ინტერესებს, რომელიც რუსეთს აქვს შორეულს აღმოსავლეთშიო. ამიტომ ფრაქცია იმის მომხრეც არის, რომ გადიდებულ იქნას იაპონიაში საელჩოს შტატი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ელჩის წლიური ჯამაგირი 50 ათასი მანეთი იყოს და არა 60 ათასი, როგორც მთავრობის პროექტშიაო. შემდეგ გუჩკოვი შეეხო შორეულ აღმოსავლეთის საქმეებს. ბოლოს დროს, სთქვა მან, აღმაშფოთებელი მიტქმა-მოქმემა შორეულ აღმოსავლეთის საქმეების შესახებ. თუმცა მთავრობანი (რუსეთისა და იაპონიისა) ერთხმად მოწმობენ, რომ სრული მშვიდობიანობა იქ უზრუნველყოფილიაო, მაგრამ პრესა და კერძო პირნი სხვა ცნობებს გვაწვდიან და ეს იწვევს სრულიად სამართლიანს მღელვარებას. ცნობები ამბობენ, რომ იაპონიამ დაიპყრო არა მარტო კორეა, არამედ მანჯურიაცა და რამდენადმე მონგოლიაცო; საზოგადოდ იაპონია ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ და იმორჩილებს ჯერ ეკონომიურად, მერე კი პოლიტიკურად მთელ შორეულ აღმოსავლეთს. ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწენი ძალიან აღშფოთებულნი არიან ამით და ამბობენ, თუ ასე გაგრძელდა იაპონიის წინსვლის საქმე, ჩინეთი აუცილებლად დაირღვევაო. ესეთი მდგომარეობა საქმისა ბუნებრივად გვალეღვებს ყველას და კარგი იქნება მთავრობამ გადმოგვეცეს თავისი აზრი შორეულ აღმოსავლეთის შესახებ. უნდა დავსძინოვო, სთქვა ბოლოს გუჩკოვმა, რომ არავის რუსეთში არ მოსდის ალბად თავში შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის აზრი; მაგრამ ყველას გვესმის, რომ რუსეთი მტკიცედ დაიცავს იმას, რაც დღეს დარჩა შორეულს აღმოსავლეთში; არც ერთ ჩვენს ინტერესს, ჩვენი სამფლობელოს ერთ გოჯსაც აღარ დაეუთმობთ ამიერიდან ჩვენს მეზობლებს (ძლიერი ტაშის ცემა). ჩვენი ქვეყანა მსწრაფლად მიდის დამშვიდების გზაზე და ეს იმას ჰნიშნავს, რომ ახლა უფრო გამარჯვებით შეგვიძლია ჩვენის ინტერესების დაცვა. მთავრობამაც იცოდეს, რომ ჩვენ მზადა ვართ ყოველ მსხვერპლისა და დახმარებისთვის, თუ ამას საჭიროება მოითხოვს... გუჩკო-

ვის ამ პატრიოტულ აღფრთოვანებას სათათბიროს უმრავლესობა დიდის თანაგრძნობით ეგებება.

გარეშე საქმეთა მინისტრი თანხმობას აცხადებს ოქტომბრის ტების შესწორებაზე და შემდეგ გრძელ სიტყვაში განმარტავს საქმეთა მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში. მინისტრი ამტკიცებს, რომ რუსეთს მაინც და მაინც არაფერი დაუკარგავს იქ: სამხრეთი სახალინი ბუნებრივად იწეოდა იაპონიისაკენ; გეოგრაფიული და ეკონომიური პირობებით ამ კუნძულის ნახევარი უთუოდ იაპონიისა უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მანჯურიასა და ლიაოლუნს, ამათ დასაჭერად რუსეთს ძალა არ შესწევდა მაინცაო. ხოლო რაც რუსეთის სამფლობელოს შეადგენდა საუკუნოებით, ის ხელუხლებლად დარჩა და იაპონია არც-კი გვედავება იმაზეო. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ მეგობრული კავშირი დამყარდა რუსეთსა და იაპონიის შორის, რაც რამდენიმე ტრაქტატით უზრუნველყოფილიაო. გარდა ამისა შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის გამეფების თავდებია ჩვენი კავშირი საფრანგეთთან და ხელ-შეკრულება ინგლისთანაო.

მილიუკოვი, კადეტთა ფრაქციის სახელით, კმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი წარსდგა სათათბიროს წინაშე და უცხოეთის პოლიტიკაზე ცნობები გაუზიარა სახალხო წარმომადგენლობას. „რუსეთის დიპლომატია უნდა დაემყაროს საზოგადოებრივ აზრს. რუსეთს არ უნდა ომის განახლება, მას არ სურს სამაგიეროს გადახდა იაპონიისათვის. ჩვენ ვგრწამს, რომ მინისტრის გამოსვლა შემდეგშია ც სათათბიროს წინაშე იხსნის ჩვენ დიპლომატიის იმით გველენისაგან, ვინც პასუხისმგებელი არაა, მაგრამ კულისებს უკან ყოველთვის ერეოდა უცხო საქმეების მართვაში (ტაშის ცემა). შორეულ აღმოსავლეთში ოპტიმიზმისათვის ჯერ დრო არ დამდგარა; ხოლო თუ იმ მიზეზით, ვითომ შ. აღმოსავლეთში მშვიდობიანობა უზრუნველყოფილიაო, ახლობელ აღმოსავლეთში დავიწყებთ აგრესიულ პოლიტიკას, ახალ-ახალ ავანტიურობას თავიდან ვერ ავიცდნეთ.“

ჩხეიძე ს.-დ. მხრით აცხადებს, რომ ეს ფრაქცია წინააღმდეგია კანონპროექტისა და ჰსურს დასაბუთოს ეს მათი აზრი, მაგრამ თავმჯდომარე ნების არ აძლევს.

ბოლოს სათათბირო ამტკიცებს კანონპროექტს იმ შესწორებით, რომელიც ოქტომბრის ტებმა წარუდგინეს.

მწარე ფიქრები.

გაზეთ „ისარ“-ში წავიკითხეთ შემდეგი საყურადღებო ამბავი: **„სახარების მოყვარულთა წრე.** გვთხოვენ დავებულოთ: „მასწავლებელ ქალთა საზოგადოებასთან შესდგა სახარების კითხვის მოყვარულთა წრე, რომელსაც აზრად აქვს პირველ წყაროდან შეისწავლოს ქრისტიანული სიბრძნე. წრეში მიიღებიან ყველანი, სარწმუნოების განურჩევლად. ვისაც აინტერესებს ეს საგანი, მათ იწვევენ მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სადგომში (პუშკინის ქ., 3, ერენის მოედანი), სამშაბათს, 19 თებერვალს, საღამოს 7 საათზე. სურვილისამებრ სახარების შესწავლა იქნება ქართულად. შესვლა უფასოდ შეიძლება.“

მართლაც რომ შესანიშნავი ამბავია. წარმოიდგინეთ ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით ქალები, დღეს დაწინაურებულან სხვა განათლებულ ხალხებთან შედარებით. **სახარების მოყვარულთა წრე** ჯერ არ დაარსებულა არც ევროპაში და არც ამერიკაში. სწორედ წაასწრეს წინ „განათლებით“ ამერიკელებს ჩვენებმა! ყურები გამოუქედეს ჩვენმა „ფილოსოფოსებმა“, რომ სახარება გასწორებულა, თორემ ქრისტესაგან სრულებით სხვა სახარება იყო. მღვდლებმა გაასწორეს თავის სასარგებლოდ, თორემ ისე არ იყო დაწერილი, როგორც ეხლა არისო. თბილისის „წრეს“ ყურადღება მიუქცევია ამ სერიოზულ კითხვისათვის და მოუწადინებია პირველ წყაროდან შეისწავლოს ქრისტიანული სიბრძნე. ამას რაღა სჯობიან! როგორც სჩანს, დიდი იმედი არა ჰქონებიათ თავის თავისა და ამისათვის განუხრახავთ, ამ წრეში ჩასაწერად მისცენ ნება ყველას, არა მარტო ქრისტიანებს, არამედ ურბებს, თათრებს და ცეცხლის თაყვანის მცემლებსაც. „ყველას მივითვლებთ სარწმუნოების განურჩევლადო“. აღბად, რასაც ჩვენი თბილისის „სახარების მოყვარულნი“ ვერ გაიგებენ ქრისტიანულ სიბრძნისას, იმას სხვა სარწმუნოების წევრები შეატყობინებენ...


პირველი სხდომა თბილისის „განათლებულ ქალების წრეს“ დაუნიშნავს 19 თებერვალს.

19 თებერვალს შეკრებილან კიდევ და მსჯელობა ჰქონებიან. აი რასა სწერენ „ისარ“-ში ამ წრის მსჯელობის შესახებ 19 თებერვალს:

„პირველი სხდომა ამ წრისა, 60 ქალისა და კაცის თანადასწრებით, მოხდა 19 თებერვალს ტფ. მასწავლებელ ქალთა საზოგადოების დარბაზში. ერთ-ერთ ინიციატორის ქ-ნ ე. ნაკაშიძის მეთაურობით. კრება პირდაპირ შეუდგა მათე მოციქულის სახარების კითხვას. დაიწყო კითხვა პირველი თავის მე-18 მუხლიდან. დიდი კამათი გამოაწვია იმ მუხლმა, რომელიც შეეხება ქრისტეს დაბადებას. კრების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ სახარების ამ ადგილს გონებით ვერ მივსწვდებით და უნდა ვიკწმუნოთ ის, რაც იქ მოხსენებულიაო. მეორე ნაწილი-კი ამბობდა, რომ ქრისტე კაცი იყო და დაიბადა ისე, როგორც ყველა ადამიანი იბადებაო. წრის შემდეგი კრება პარასკევს, 22 თებერვალს მოხდება.“

როგორც ხედავს მკითხველი, ეხლავე გაყოფილა აზრი ამ განათლებულ ქალბატონთა წრეში. მალე დანიშნეს კრება, მაგრამ მეორე კრებაზე როგორ გადასწყვიტეს ეს კითხვა, ჯერ არავინ არ იცის. ამბობენ, რომ შესაძლებელია, საჭირო შეიქნეს ი. გ-ს მიწვევა და იმედია, საღვთის-მეტყველო საგნებში, დაეხმარება ამ შესანიშნავი წრის წევრებს. სამწუხაროა, რომ ამ ქალების წრეში წევრობა აკრძალული აქვსთ სამღვდლო პირებს, როგორც დანტერესებულ პირთ, რადგან სახარების „დამახინჯებას“ სამღვდლოებას აბრალებენ... მოვიცადოთ და შევიტყოთ რა გამოვა რისაგა...

სოფლის ხუტესი.



მკლოვან გზაზე.

მინდა რომ მოვხსლტდე სოფლის ხელიდან,
მღლა საფრენად გავშალო ფრთები,
ამაოების ხედვით მომყმარი
უკვდავის წყაროს სმად აღვიგზნები;
ალარ ისენებს ამაყი აზრი,
მსურს რომ მსოფლიოს გავავლო გზები,

მაგრამ ამაოდ, დაღმართ მდინარე კვლავ წყვდიადს უფსკრულს დავენარცხები.

ლონემიხდილი სოფლის კალთაზე გრძნობათ მორევში ჩავიძირები და მწუხარების ფიქრთა ზვირთებ ქვეშ ოღნავ უკრავენ გულის სიმები.

აღმაფრენისგან დაღმა ვრდომილი სული წუხდება, შავად მკენესარე; ირგვლივ ეხვევა მწარე ფიქრები გულის კამარას მიმომდინარე.

გონების ლტოლვა აღტყინებული ბნდება, ჰორიზონტს ჩაესვენება, ბნელდება გულის არე-მიღამო, მის სიხარული და მის შეენება.

დღენი კი სოფლის მირბიან გრილად, ეამი სოფლისა სწრაფად მშორდება, და ცარიელი ჩემი ცხოვრებაც საფლავის კარებს უახლოვდება.

ონაფრე მწირი

უშრნალ გზემთმბიღბან

სპარსეთისა და ოსმალეთის დავა. ოსმალეთის კომისიამ განაცხადა, ჩვენი მოვალეობა გათავებულად მიგვანჩიაო, და გადასწყვიტა, 16 თებერვალს ურმია მიატოვოს.

მიანდაბიდან იუწყებიან, ოსმალეთის ჯარისა და არტილერიის ნაწილი აქამდე სოუჯ ბულახში დგასო. გაიგეს რა ესა, ზოგიერთი წარჩინებული ქურთნი, რომელთაც ეწადათ პრინც ფერმან ფერმი-სათვის მორჩილება გამოეცხადებინათ, გზიდან უკან დაბრუნდნენ. პრინცი მანკული-მირზა არ მისულა სოუჯ-ბულახს.

„კორესპონდენტ-ბიურო“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: სპარსეთის ელჩს ჯერ არ მიუღია დამამტკიცებელი ცნობა, რომ ფაზილ-ფაშას სოუჯ-ბულახი მიეტოვებინოს, მაგრამ „პეტერბურგის სააგენტოს“ ცნობას ამის შესახებ სწორე ცნობადასთვლის. ოსმალეთის სამხედრო მინისტრს 12 თებერვალს ჯერ არავითარი ცნობა არა ჰქონდა მიღებული სოუჯ ბულახის დაცლის შესახებ, მაგრამ მაინც უთხრა სპარსეთის ელჩს, რომ ჯარი სოუჯ-ბულახიდან სულ მოკლე ხანში გავაო, რადგან ფაზილ-ფაშა უცილობლად მოვალეა დაემორჩილოს ბრძანე-

ბას. ხმა, ვითომ ბრძანება სოუჯ-ბულახის დაცლის შესახებ გაუქმებულია, სწორე არაა.

ოსმალეთი. ოლთისიდან ატყობინებენ სომხურ გაზ. „ვტაკს“: აქ ცნობა მიიღეს, რომ ოსმალეთმა მრავალ ჯარს მოუყარა თავი რუსეთის მოსამზღვრე სოფელ იდიშშიო. ამ დღეებში ოსმალეთის აღმინისტრაციამ ჯარის საკვებად 3,000 ტომარა ფქვილი მოიტანა.

← **ოსმალეთის ჯარის მობილიზაცია.** სომხურ გაზეთ „ვტაკს“-ის ვანიდან ატყობინებენ, ოსმალეთის მთავრობა ჯარის მობილიზაციას ათავებს და ძლიერი ჯარი რუსეთის საზღვრებს თან და თან უახლოვდება. ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით, ქურთებს დიდ-ძალი იარაღი ურიგდებათ. იწვევენ მათ, მზად იყვნენ მოთხოვნილებსათანავე არზუმიდან კიდევ სწერენ გაზეთს, რომ ამ ბოლო დროს დიდ ძალი ჯარი მოაწყდა ამ ქალაქსაო.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო.

ყვირილის ხაზინიდან 201,639 მანეთის გატაცება.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ყვირილის ხაზინიდან ფული გაიტაცეს 1905 წელს 30 დეკემბერს. ამ საქმის განხილვას კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო ეხლა უნდა შესდგომოდა. სამართალში მიცემულია სულ 28 კაცი; თავ. ანდრია აბაშიძე, ალექსანდრე აბაშიძე, არსენ ქარსიძე, კირილე შენგელია, სიმონ და პლატონ ჟდენტები, ალექსანდრე სტეფანოვი, ალექსი ანთაძე, ფილიპე წერეთელი, ლაზარე გაჩეჩილაძე, პავლე საყვარელიძე, ამბაკო სამანაშვილი, დავით ციკრაძე, იაკინთე კობახიძე, ვასილ და პავლე კიკნაძენი, დიანოზ და მარკოზ ცერცვაძენი, მოსე ბაილდერი, ვლადიმერ ტატიშვილი, ლავრენტი გძელიშვილი, სტეფანე იარჩენკო, ონისიმე არევაძე, დავით სულიაშვილი, მიხეილ პოდკოლზინი, მიხეილ მაჭუტაძე, გიორგი ხომერიკი და ვასილ შავიძე.

ამათ ჰბრალდებათ 1905 წელს შორაპნის მაზრაში ისეთ საზოგადოების შედგენა, რომელსაც აზრად ჰქონდა შეიარაღებულ აჯანყებით არსებულ წესწყობილების დამხობა. ამ საქმის განსახორციელებლად ჩაიღინეს შემდეგი საქმეები:

1. შენგელია, თავ. აბაშიძე, ჟდენტი, ალექსანდრე აბაშიძე, სტეფანოვი, წერეთელი, გაჩეჩილაძე

და საყვარელიძე დაეცნენ ყვირილაში სტრაჟნიკების სადგომს, იარაღი აპყარეს სტრაჟნიკებს და წაიღეს 66 თოფი და 2000 მდე ტყვია. დაეცნენ საოლქო გამგეობას და წაიღეს იარაღი. დაეცნენ სატუსაღოს და გაანთავისუფლეს ოთხი პატიმარი.

2. ციკრაძე, ანთაძე, სამანაშვილი, კობახიძე, ცერცვაძე, ბაილდერი და ქორიძე 1905 წლის 30 დეკემბერს სხვებთან ერთად თავს დაეცნენ ყვირილის სადგურზე ტენგინის პოლკის მე-12 როტას, ასტეხეს სროლა და როდესაც როტას ტყვიები გამოეღია, შევარდნენ როტის სადგომში და გაიტაცეს 57 თოფი. სროლის დროს დაიჭრა 6 სალდათი, ერთი სასიკვდილოდ. ამავე დღეს ქარსიძემ ადგილობრივ ხაზინადარს მისწერა, მისულიყო და ხაზინის ფული ჩაებარებინა. ბარათის ქვეშ ეწერა: „წითელ რაზმის წინამძღოლი არსენ ქარსიძე“, როდესაც ხაზინადარი სამბიკინი მოხელეებთან ერთად მივიდა, იქ დაჰხვდა 15 შეიარაღებული კაცი. სტეფანოვმა განუცხადა ხაზინადარს: „თუ ნება-ყოფლობით არ მოგვცემთ ფულს, ძალით წავიდებით“. საკუქნაოს კარები გააღეს. სტეფანოვმა, ტელეგრაფისტმა ნოე ჩხეიძემ (ამ ჟამად დამალულია) და სხვებმა გადითვალეს 201,639 მ. 56 კ., ამასთან ხაზინის დავთარში ჩასწერეს: „201,639 მ. 56 კ. ნაღდ ფულად—კრედ. ქალაღებით, ოქროთი, ვერცხლით და სპილენძის ფულით—მივიღე 1905 წელს 30 დეკემბერს სამხედრო-სარეგოლიუციო შტაბის მონდობილებით ანდრონიკ ნიხომ“. წაღებულ ფულს ერთ ხანად სადგურის კასსაში ინახავდა პოდკოლზინი. 1905 წელს 8 იანვარს ორთქლმავალით ფული ქუთაისში წაიღეს პოდკოლზინმა, ჩხეიძემ და ცინცაძემ (ეს უკანასკნელი დამალულია).

3. ვას კიკნაძემ, პავლე ხომერიკმა, სუმაშვილმა, არევაძემ და იარჩენკომ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ტენგინის პოლკის მე-11 როტას, რომელიც მე-12 როტის საშველად მიიღოდა. სროლის დროს სასიკვდილოდ დასჭრეს შტაბსკაპიტანი დავიდოვი, მოჰკლეს სალდათი მილი და დასჭრეს სამი სხვა სალდათი.

4. მაჭუტაძეს ჰბრალდება 2 იანვარს 1906 წელს წიფაში თავდასხმა ყაზახებზე. სროლის დროს მოჰკლეს სამი ყაზახი და დასჭრეს ორი.

5. სალდათს ბაილდერს ჰბრალდება ფოსტიდან გაქცევა და სახელმწიფო თოფის დაკარგვა. (ისარი?)

ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ ინგლისში.

ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ასკიტმა დეპუტატთა პალატას წარუდგინა კანონ-პროექტი სასმელ ღუქნების შემცირების შესახებ. მინისტრმა სთქვა: „რა საჭიროა ლოთობის ვნებაზე ლაპარაკი. ამ სენს ყველა უნდა ებრძოდეს, და რადგან ყველამ იცის, თუ რა დიდი ვნება მოაქვს ალკოჰოლიზმს, ყველა თანახმაა, რომ საჭიროა შეიცვალოს კანონი სასმელების შესახებ. რომ ეს რეფორმა ნამდვილი გამოადგეს, უთუოდ საჭიროა სასმელთა ღუქნების რიცხვი შემცირდეს. ამას გარდა სახელმწიფოს უნდა მიეცეს განსაკუთრებული უფლება სასმელების გასყიდვისა, უფლება, რომელსაც აქამდე ასე წინ დაუხედავად იყო მოკლებული.“

ასკიტის პროექტით, თანდათან, თოთხმეტი წლის განმავლობაში, უნდა შემცირდეს პატენტების რიცხვი. ეს შემცირება მოხდება მცხოვრებთა რიცხვის-და-კვალად: ქალაქებში ერთი ღუქნის გაღება იქნება ნებადართული 750 სულზე, სოფლებში—400 სულზე. ამნაირად ღუქნების ეხლანდელი რიცხვი—90 ათასია მარტო ინგლისში—ერთი მე-სამედით შემცირდება. ის კლუბები, სადაც მაგარი სასმელი იყიდება, თვით არისტოკრატიული კლუბებიც-კი, სასტიკ კონტროლს დაექვემდებარებიან.

როგორც მოსალოდნელი იყო, ასკიტის კანონ-პროექტს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს კონსერვატორებმა, რომლებიც მხნედ ესარჩლებიან მაგარ სასმელების გამყიდვებს, რადგან ამათ დიდი გავლენა აქვთ ინგლისში.

კონსერვატორების ლიდერმა ბალფურმა განაცხადა პალატაში, რომ ეს კანონ-პროექტი რეფორმა-კი არა, ექსპროპრიაციაა მესაკუთრეთა მთელის კლასისათვის. ამნაირივე აზრი გამოსთქვეს წინააღმდეგ კონსერვატიულმა გაზეთებმა; ეს გაზეთებიც ესარჩლებიან მსხვილ მეღუქნეებს, რომელთა ამხანაგობებს ხშირად რამდენიმე მილიონი გირვ. სტერლინგი აქვთ თანხად. მაგალითად „დეილი ტელეგრაფმა“ პირდაპირ დასწერა; ასკიტის კანონპროექტი „უბრალო ცარცვა, ქურდობა და ყაჩაღობაა“.

მაგრამ სასმელის გამყიდვებს მთელ ინგლისში დაბანდებული აქვთ თავიანთ ვაჭრობაში 160 მილიონ გირვ. სტერლინგზე მეტი. რაღა თქმა უნდა, ახალი კანონპროექტი დიდ ზარალს მისცემს მოვა-

ჭრეების მილიონებით გატენილ ჯიბეებს, ამიტომ ადვილი გასაგებია წინააღმდეგობა, რომელსაც უწევენ ასკიტის პროექტს მსხვილ მეღუქნეების კლასი და იმის მოსარჩლე კონსერვატორები დეპუტატთა და ლორდთა პალატაში. ლორდთა პალატაში ზის ლუდის მხარეზე ქარხნის რამდენიმე პატრონი, რომელთაც ნაბოძები აქვთ პერის ხარისხი. ინგლისელებს ამაზე ანდაზაც კი აქვთ: დღეხანს უნდა ჰხარშო ლუდი, რომ ლორდობა მიიღო.

მეორეს მხრივ, ლიბერალურ პრესას იმედოვნებს, რომ ინგლისელი ებისკოპოსები, რომლებიც ზედა პალატაში სხედან, თანაგრძნობით მიეგებებიან სამინისტროს კანონპროექტს.

ახალი აბები და შენიშვნები.

კვირას, 2 მარტს, ილია ქაჯავაძის ვერაგულ მოკვლის ნახევარ წლის თავზე, ტფილისმა პატივი სცა დაუვიწყარ მგონის ხსოვნას.

თბილი გაზაფხულის დღე იყო და დილიდანვე აუარებელი ხალხი გაემართა მამადავითისაკენ. 9 საათიდან დაწყებული თითქმის 1 საათამდე არ შეწყვეტილა ხალხის დენა, ასე რომ მალე ეკლესიის ორივე გალავანი და მთის ახლო მიდამო ხალხით გაიჭედა, საჭირო შეიქნა წესიერების დაცვა და ეს ითავეს მოსწავლე ახალგაზღვრებმა, წ.-კ. საზოგადოების გამგეობის წევრთა და ქართულ გემნაზიის ზოგიერთა მსწავლეებლებმა.

9¹/₂ საათზე დაიწყო წირვა. მწირველი იყო ალავერდის ებისკოპოსი დავითი. 12 საათსა და 30 წუთზე წირვა დასრულდა და სამღვდლოება გამოვიდა გალავანში განსვენებულ მგონის საფლავზე, რომელიც მშვენიერად იყო მოართული ყვავილებითა და გვირგვინებით. ამ ღრმისთვის იქვე რიგზე დაეწყვნენ სხვა და სხვა დეპუტაციები: სომეხთა და მაჰმადიანთა სამღვდლოება, ტფილისის ქალაქის გამგეობა და ხმოსნები, თავდაზნაურთა გუბერნიის და მაზრების მარშლები, ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა, ქართულ დრამატულ და ფილარმონიულ საზოგადოებათა გამგეობანი, ქართველ მოქმედო საზოგადოების გამგეობა, სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენელი,

ადგილობრივ ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ გაზეთების რედაქციების წევრები, სხვა და სხვა სასწავლებელთა მოსწავლე-მასწავლებელნი და სხვა მრავალი ხალხი; იყვნენ გორიდან, იმერეთიდან და პროვინციის სხვა ადგილებიდანაც ჩამოსულნი. წირვასა და პანაშვიდს განსვენებულის მეუღლე ოღდა თადეოზის ისულიც დაესწრო. პანაშვიდის დასრულების შემდეგ წარმოთქმულ იქმნა ორი სიტყვა და ერთმა მუშამ გრძნობით სავსე ლექსიც წაიკითხა.

(ისარი)

➔ **შავროვის დათხოვნის შესახებ.** ტფ. სააბრეშუმო სადგურის გამგე, პატრიოტულ საზოგადოების წევრი ნ. შავროვი, მიწად-მოქმედების დეპარტამენტის განკარგულებით სამსახურიდან გადააყენეს. ქალაქში ხმა დადის, რომ შავროვის დათხოვნას კავშირი აქვს გავრასა და აქ სააბრეშუმო სადგურში 60,000 მანეთის გაფლანგვასთან.

➔ **გურულების დეპუტაცია.** როგორც უკვე ვწერდით, ტფილისში ჩამოვიდნენ გურიის წარმომადგენელნი (25 კაცამდე), რომელთაც ნამესტნიკისათვის უნდოდათ წარედგინათ შუამდგომლობა გურიაში ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ. უნდოდათ აგრეთვე ეშუამდგომლნათ, რომ დამწეულ ხალხისათვის მთავრობას ფული გადაედო. დეპუტატებმა ტფილისში შეიმუშავეს მოხსენება და ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის პ. ი. თუმანიშვილის დახმარებით გადასწყვიტეს ნამესტნიკს წარსდგომოდნენ. ნამესტნიკმა შეუძლებლად სცნო დეპუტაციის მიღება. დეპუტატთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა, ხოლო მეორემ გადასწყვიტა შუამდგომლობა ფოსტით გაუგზავნოს ნამესტნიკს.

➔ **დახვრეტა.** 20 თებერვალს, ტფილისში სისრულეში მოიყვანეს სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც სიმონაშვილს და ჩხეიძეს სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

➔ **პოლიციის რეფორმა კავკასიაში.** „ტ. ლ“-ში შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი პეტერბურლიდან: „როგორც „ნოვოე ვრემია“ იუწყება, განზრახულია კავკასიაში პოლიტიკურ პოლიციის რეფორმა. პოლიციის უფროსად დაინიშნება განსაკუთრებული კაცი, რომელიც პირდაპირ პოლიციის დეპარტამენტს დაექვემდებარება. ნამესტნიკმა უკვე განაცხადა თანხმობა ამ რეფორმაზე.“

➔ **ინცინდენტი გიმნაზიაში.** 19 თებერვალს ვაჟთა მეორე გიმნაზიაში შემდეგი ამბავი მოხდა. ამ დღეს „ნეკრასოვის დილა“ იყო გიმნაზიაში. შეიკრიბნენ მოწაფენი და მშობლები. როდესაც ხორამ რუსული ნაციონალური ჰიმნი დაიწყო, აინიდან ვილაცამ სამი ასაფეთქებელი რაღაც გადამოაგლო. სამივე გასკდა და საშინელი ხმა მოიღო. ხალხი და მოწაფენი, რა თქმა უნდა, შეშინდნენ. ორი მოწაფე დაიჭრა. ორივე მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

ეხლა პეტერბურლიდან ამბავი მოსულა, რომ სამინისტროს განკარგულებით დაიხურა ამ გიმნაზიის მე-6, 7 და მე-8 კლასები.

➔ **ეპისკოპოს ანტონინის დანაშაული.** თანამდებობიდან გადაყენებულს ეპისკოპოსს ანტონინს სდებენ იმ ბრალსა, რომ წირვის დროს გამოსტოვა სიტყვა „უთვითმპყრობელესი“, ამას გარდა თავის ნებით შესცვალა ის ლოცვა კრამოლის მოსპობაზე რომელიც უწმინდეს სინოდის ბრძანებით უნდა ეკითხათ ეკლესიებში 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ. მიტროპოლიტი ანტონი დაპირდა გადაყენებულ ეპისკოპოსს, ყოველ წლიურად 600 მან. მიცემას ალექსანდრე ნეველის ლავრის სახლის შემოსავლიდანაო. მხოლოდ დიდი თხოვნის შემდეგ სინოდის ობერ-პროკურორი იზვოლსკი დაპირდა ანტონინს, ვეცდები, წელიწადში 800 მან. მოგცეთ პენსიადაო.

➔ **მეზღვაურის თავის მოკვლა.** ვლადივოსტოკში თავი მოიკლა კრეისერ „ასკოლდ“-ის უფროსმა. იგი სამართალში იყო მიცემული უმოქმედობისათვის წარსულ 17 ოქტომბრის აჯანყების დროს.

➔ **ფინლანდია.** ფინური გაზეთები აღნიშნავენ, რომ არც ერთი რუსის გენ.-გუბერნატორი არ გაუცილებიათ ისეთის საყოველთაო სინანულითა და არა ჰღირსებია ისეთს დიდებულ მანიფესტაციებს, როგორც გერარდი. ჰელსინგფორსის უნივერსიტეტმაც მონაწილეობა მიიღო გერარდის პატივისცემაში. უნივერსიტეტის რექტორმა და ვიცე-კანცლერმა გულწრფელი მადლობა გამოუცხადეს გერარდის, რომ უნივერსიტეტმა მთელი ხანი განუწყვეტელი მუშაობა შეიძლო იმის დროს; სტუდენტების წარმომადგენელნი მივიდნენ მასთან წასვლის წინად. საპასუხო სიტყვაში გერარდმა სხვა-

თა შორის იმედი გამოსთქვა, რომ ფინლანდიის ერი არას დროს არ დაჰკარგავს კულტურულ ერთა შორის თავის ადგილს — რომელიც უფლებებისამებრ ეკუთვნისო.

სეიმმა მიიღო სამი შეკითხვა ფინლანდიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

20 თებერვალს ტამერფორსში მუშებმა მოახდინეს კრება უკანასკნელ პოლიტიკურ ამბებზე მოსალაპარაკებლად. გადასწყვიტეს სოც.-დემ. პარტიის გამგეობას მიჰმართონ წინადადებით, ახლო მომავალში კრება მოახდინოს, თუ პოლიტიკური პირობანი უფრო გამწვავდებიან. ამნაირივე რეზოლიუცია მიიღო ტავასტგუტის ორგანიზაციამაც. სხვა ქალაქებშიაც მოახდენენ მუშები კრებებს.

◆ ქუთაისში დიდი უბედურება მოხდა: 22 თებერვალს ღამე თითქმის სულ გადაიწვა ებრაელების უბანი. ცეცხლი ერთბაშად გაჩნდა და ვერა უშველეს რა. ქალაქს შესაფერი ცეცხლის საქრობი მანქანები არა აქვს. გადაიწვა ორმოც სახლამდე. რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ეხლაც ღარიბები დაზარალდნენ. ბევრი სრულიად უსახლკაროდ და ულუქმაპუროდ დარჩა.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობაში აღძრულა საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქმა დააწესოს პურის ცხოზა თავის ხარჯით და ამით ცოტად თუ ბევრად მოაწესრიგოს პურის ვაჭრობა ქალაქში. ქუთაისის მეფურნეები, არავითარ კანონს და წესს არ ექვემდებარებიან და, როგორც გაზვიადებული მალა მოგებისა აგონებთ, ისეთს ნიხრს აწესებენ პურზე. ამ თავგასულობის ასალაგმავად, სწორედ საჭიროა ქალაქმა პურის ცხოზა მოაწყოს, მით უმეტესად, ამ ჟამად არც ისე შევიწროებულია ქალაქის კასა. შესაძლებელია ქალაქმა ამ საქმეში ცოტა რამ წააგოს, მაგრამ ღარიბი მოქალაქე, რომელსაც აღარ ძალ-უძს დღევანდელ პირობებში ცხოვრება, დიდ მადლობას გადაუხდის ქალაქის გამგეობას, თუ რასაკვირველია, ქალაქის ფურნის დაარსება ცოტათი მაინც შეამკირებს პურის ნიხრს.

◆ ნ. ა. მაროზოვი და უწმ. სინოდი. ეპისკოპოსმა გერმოგენმა მოახსენა სინოდს, ცნობილ რევოლიუციონერს ნ. ა. მაროზოვს უნდა აღეკრძალოს ლექციების კითხვა აპოკალიპსისზეო. სინოდმა სხდომა მოახდინა ამის გამო და მაროზოვის წიგნი აპოკალიპსისზე გააჩრია. ხანგრძლივი კამათის შემდეგ სცნეს, რომ მაროზოვის წიგნი მავნებელია მართლ-მადიდებელ ეკლესიისათვისაო. სინოდის ობერ პროკურორმა წიგნის ვარჩევა და სინოდის რეზოლიუცია მინისტრთა საბჭოს წარუდგინა. მინისტრთა საბჭოს ჯერ პასუხი არ მიუცია ობერ პროკურორისათვის.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-სწეობაზე.

ლოცვა წ. მამისა ეფრემ ასურელისა.

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა, მიმომწულილველობისასა, მთავრობის-მოყვარებისასა და ცულად-მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე.

წ. ეფრემი შერიცხულია ქრისტეს ეკლესიის დიდთა მოძღვართა თანა, რომელთაც თვისი ქეშმარიტი სწავლითა და წ. ცხოვრებითა დაამკვიდრეს ქვეყანაზე ქრისტეს სარწმუნოება, რომელიც არის ესოდენ თანხმადი ადამიანის ბუნებისა და მისთვის ფრიად საჭირო. ეფრემი სცხოვრებდა ქრისტიანობის მეოთხე საუკუნეში, აღმოსავლეთს, ასურეთის ქვეყანაში. ხარისხით იგი იყო მეუღაბნოვე მონაზონი სწავლა-მეცნიერება, ცხოვრების სიწმინდე და დიდი თავმდაბლობა შეადგენდნენ მის სულიერ ბუნების სამკაულსა. მისი სწავლა-მეცნიერება აკვირვებდა თვით ბასილ დიდსა. ეკლესია რაცხს ეფრემსა ბასილის თანა-მზრახველად ანუ თანა-მოზრედ. იგივე ეკლესია გვიდგენს ეფრემის ზნეობის ასეთ სურათსა: მას მარადის წინ ედგა ჟამი სასჯელისა, ფიქრობდა მასზედ და მწარედ გლოვობდა ცოდვათათვის; სწავლითა და საქმიითა სხვათაც უღვიძებდა სინანულის გრძნობასა. ეფრემი ზედმიწევნით მკოდნე იყო როგორც ქრისტიანობისა, ისე ბერძნთ სიბრძნისა და წარმართთა ზღაპარ-სიტყვაობისა. რიცხვი მის თხზულებათა აღის ათასამდე, რომელნიც გადაითარგმნენ ბერძნულ ენაზე მისივე სიცოცხლის დროს. მცირე მათი ნაწილი გადმოთარგმნილია შემდგომი რუსულ ენაზედაც. ეფრემის თხზულებათა შინაარსი არის, უმთავრესად, ქრისტიანული სარწმუნოება და კეთილ-სწეობა. იგი ფრიად სწუხს იმ ქრისტიანეთათვის, რომელნიც განუსჯელობით და დაუდევრობით არღვევენ ცხოვრების სიწმინდესა. სხვათა შორის, ეფრემი დიდად აფასებს ქრისტიანულ სწავლა განათლებას, ყველას ურჩევს მის მიღებას. მას ეკუთვნის ის გულის-ხმიერი ლოცვა, რომელსაც წ. ეკლესია ხმარობს დიდმარხვის ღვთის-მსახურებაში და რომელსაც ჩვენ გვსურს მივაქციოთ მოწიწებითი ყურადღება, ჩვენდა და მოყვასთა სასარგებლოდ.

ეფრემის ლოცვა არის ნაყოფი ქრისტიანე

ადამიანის უმაღლესი თვით-შეგნებისა, რომელსაც შეჰყავს ადამიანის სული უმაღლეს ცხოვრების ტაძარში, სადაც ნათობს ლამაზი ცხოვრების ჭეშმარიტებისა, სადაც, მის სინათლის საშუალებით, ადამიანი ხედავს ღმერთსა, როგორც უფალსა და მეუფესა თვის ცხოვრებისასა,—ხედავს იმ ღმერთსა, რომლისაგანაც არის გარდამომავალი ყოველი ნიჭი და კეთილი, რომელიც კაცისგანაც ითხოვს მხოლოდ კეთილსა. სული ეფრემისა გრძნობს, რომ დაცემული ადამიანის ბუნებისთვის ფრიად საჭიროა მადლი ღვთისა, რომ ადამიანი იმყოფებოდეს კეთილში. ცოდვა-ბოროტებათა სულნი ადამიანის საბრალო ბუნებაში მრავალნი არიან. ამათში წ. ეფრემი, ბრძენი—მცოდნე სულიერი ცხოვრებისა, მომეტებულ ყურადღებას აქცევს ბოროტთა სულთა: უქმობისასა, მიმომწულიღველობისასა, მთავრობის-მოყვარებისასა და ცუდად-მეტყველებისასა.

უქმობა ანუ უსაქმურობა, როგორც შედეგი სიზარმაცისა, არ შეეგნის ადამიანის ცხოველ-გონიერ ბუნებასა. შრომა-მოქმედება მისი მუნწყოფია, იგი ნაანდერძეფია შემოქმედისგან. თვით ქვეყნიერ სამოთხეშიაც პირველნი კაცნი ვალდებულ იყვნენ, რომ ეშრომათ, შეემუშაებინათ ბაღი სამოთხისა, სულისა და სხეულის სასარგებლოდ. ამ შრომასთან შეერთებული იყო მეცნიერებაც, შესწავლა ქმნილი ბუნებისა და თვით შემოქმედის ძლიერებისა. ეს მოვალეობა შერჩენილი აქვს ადამიანს დაცემულ მდგომარეობაშიაც. ვინც მოვალეა, რომ ასაზრდოვოს სული და სხეული, იგი მოვალეა ორმხრივი შრომისაც. უქმობა, მეტადრე სულიერ ცხოვრებაში, ადამიანის გონებას აჩლუნგებს, ასუსტებს. ამ მდგომარეობაში კაცი უფრო ბოროტად აზრობს, უფრო მიღრეკილი ხდება ბოროტმოქმედებისკენ. უქმი გონება ბნელია, ძალას მოკლებულია იმდენად, რომ იგი ვერ ადის ცხოვრების ზემო თემში, ვერა ხედავს იგი აქ ღმერთსა, უფალსა და მეუფესა ცხოვრებისასა. ამიტომ ადვილად ჰკარგავს იგი სარწმუნოებასა და ცნობას ჭეშმარიტი ცხოვრებისას. ბოროტ-მოაზრე კაცის გული არის ხმელი და ცივი, ასეთი გული მოკლებულია სიკვარულის სითბოს, ყველას და ყოველსა, ვინც და რაიც მოითხოვს სიკვარულსა, ხმელი და ცივი გული უარისთქმით ისტუმრებს.—დიდათ საყურადღებოა მოქმედება ბოროტი სულის უქმობისა, მეტადრე ეხლანდელ დროში. სად და ვიზედ არ დაჰქრის იგი ეხლა?—აქ ჰაბუკობას აშორებს იგი სწავლასა და აკარგვინებს ძვირფას დროს, იქ ჯანმრთელი ვაჟ-

კაცობა უარჰყოფს შრომის მოვალეობასა და პურსა არსობისასა იქნეს მრავალგვარ ბოროტების გზითა. ასეთ სიბნელეში იმყოფება აწინდელი გონებით-ზნობითი ცხოვრება მრავალთა გვაშთა, ისიც ქრისტიანეთა... მომავალი მოთხრობა კაცთა მოქმედებისა, რომელიც არ პირ-ფერობს, ამ გვარად უკუღმართ ცხოვრებასა დასდებს საუკუნო სამარცხვინო დაღსა..

მიმომწულიღველობა არის ადამიანის გულის გაწვრილება, ნაღველი, დარდი, დაღონება. უქმობის გარდა, რომელიც ანაღველიანებს ადამიანსა, ბევრი გარეგანი მიზეზი, ბევრი გარემოება აღონებს მას ამ ცოდვილ წუთისოფელში. ბედნიერება და უბედურება ხშირად, მოულოდნელად, სცვლიან აქ ერთმანეთსა: დღეს მდიდარი—ხვალ გლახაკია; დღეს მადლარი—ხვალ მშვიერია; დღეს მეგობარი—ხვალ მტერი; დღეს ყვავილოვანი ჯან-სალი—ხვალ ჭკნება, სნეულდება და კვდება სამწუხაროდ მათდა, ვისაც იგი ანუგეშებდა და ახარებდა. ასეთი ღალატობით არის მოცული ქვეყნიერი ცხოვრება ადამიანისა.—მეტად დასაღონებელია ის შეუგნებლობა ადამიანთა, რომ ესოდენ ბუნებრივ მძიმე ცხოვრებას იგინი უფრო უმძიმებენ ერთმანეთსა, ნაცვლად მის შემსუბუქებისა ურთიერთის შემწეობის საშუალებით. ადამიანი, გონიერ-ზნობითი არსება, არა ფიქრობს, რათ აწუხებს, რათა სტანჯავს თვის მოყვასსა, რათ იმწარებს, ან რათ უმწარებს სხვასაცა სი-ცოცხლის სიამოვნებასა. ასე ბოროტ-მოქმედებს ადამიანი იმიტომ, რომ იგი მოკლებულია ღვთაებრივ განათლებასა, აქედგან იგი არის მცირე, არა თუ სრულებით, თვით-შემგნე და მცირე-მორწმუნე. აქ არის ნამდვილი მიზეზი ადამიანთ ცხოვრების უკუღმართობისა. მცირე-შემგნენი და მცირე-მორწმუნენი გვამნი ველ უძლებენ ამ უკუღმართობას, ჰკარგავენ გონებას, და ზიზლით ისპობენ სი-ცოცხლესა...., ხოლო შემგნენი და მორწმუნენი იჩენენ ქრისტიანულ ახოვნებასა. ამ ახოვნების საშუალებით სძლევენ იგინი სულსა ნაღველისასა და შევიწროებისასა. ეს ახოვნება, როგორც ზეციერი მადლი—ძალა, ენიჭება მხოლოდ მორწმუნე ქრისტიანესა, ამ მადლის ძალით იგი შეგნებით ნუგეშობს ჟამსა მწუხარებისასა, ამ მადლის შემწეობით სტრემლავს და სცნობს იგი წუთისოფლის ამოებასა, სცნობს მომავალი ცხოვრების სინამდვილესაცა.

გაგრძელება იქნება,

სჯულდებითი წიგნები ძველი აღთქმისა.

გაგრძელება *)

კილობნიდან გამოსვლის შემდეგ, ნოემ აღაშენა **საკურთხეველი**, ანუ სამსხვერპლო და შესწირა უფალს მსხვერპლი. მსხვერპლი შესწირა ნოემ მთელი ქვეყნისათვის. იგი გამოხატავდა ნოეს მადლობას ღმერთისადმი წარღვნისაგან გადაარჩენისთვის, აგრეთვე სარწმუნოებას და იმედს, რომ ღმერთი შემდეგშიც დაიცავს აღთქმულს თესლს განსაცდელისაგან. ეს მსხვერპლი, როგორც საზოგადოდ ყველა სხვა მსხვერპლები ძველი აღთქმისა, მოასწავებდა მაცხოვრის ჯვარცმას, რომლითაც გამოხსნილ იქმნა ქვეყანა ეშმაკის ტყვეობისაგან. (თ. 8,).

ღმერთმა შეიწირა ნოეს მსხვერპლი, ე. ი. ღმერთმა მოიწონა ის სულის განწყობილება, რომლითაც ნოემ შესწირა მას მსხვერპლი. მსხვერპლის აღსა და ბოლთან ერთად აღიოდა ცად სარწმუნოებით და ღმერთისადმი სიყვარულით აღზნებული სული ნოესი და აი ეს მიიღო ღმერთმა **სუნადსუნელად**. ღმერთმა ბრძანა, რომ აღარ დასჯის ქვეყანას წარღვნით და ნიშნად ამისა დასდვა ცისარტყელა (**მშვილდსა ჩემსა დავსდებ ღრუბელთა შინა** (9,13)). ცისარტყელა წარმოსდგება წვიმის წვეთებში მზის სხივების გაქვრეტის გამო, ამასთან სინათლე (შუქი) გაიყოფა ხოლომე შეიდ ფერად. უეჭველია, რომ ცისარტყელა წარღვნამდეც იყო, რადგანაც მაშინ წვიმდა კიდევ და მზეც ანათებდა ჩვეულებრივად. მაგრამ წარღვნამდე ცისარტყელა იყო მხოლოდ ბუნებრივი ნიშანი და შედეგი წვიმისა, ეხლა-კი—წარღვნის შემდეგ—ღმერთი ხდის მას თავისი წყალობის ნიშნად კაცთადმი. წარღვნის დროს ცა სრულიად მოცული იყო ღრუბლებით, რომლებმაც დაფარეს მზის სინათლე და კაცს მთელი წელიწადი არ ენახა ცისარტყელა. წარღვნის შემდეგ კი არა დროს აღარ იქნება ესე ხანგრძლივი წყვდიადი. ცა მოცული იქნება ბნელი ღრუბლებით, საშინლადაც იწვიმებს მეტადრე ცხელს ქვეყნებში; მაგრამ ამან არ უნდა შეაშინოს კაცი, მას არ უნდა ჰქონდეს წარღვნის განმეორების შიში; ცისარტყელამ უნდა დაამშვიდოს იგი; ცისარტყელამ, როგორც თანამსროლმა წვიმისამ, რომლისგანაც

წარმოსდგა წარღვნა, უნდა გაახსენოს მას ღმერთის რისხვა, ხოლო, როგორც მზის შუქისგან წარმომდგარმა, დიდებულმა და მხედველობის დამატკობელმა,—უნდა გაახსენოს კაცს ღმერთის მოწყალება.

ღმერთმა დალოცა და აკურთხა ნოე და განუმერა მას იგივე კურთხევა გამრავლებისა და აღორძინების შესახებ, რომელიც მისცა სამოთხეში აღამ და ევას.

წარღვნის შემდეგ ღმერთმა კაცს ხორცის ქამის ნება მისცა. ეს მიტომ ინება, რომ წყევის გამო, მცენარეებმა დაჰკარგეს თავისი პირვანდელი სიკეთე და სინოყიფე, ხოლო კაცის ხორციელი ძალაც იმოღენად შესუსტდა, რომ უფრო მაგარი და მტკიცე საშუალება იყო საჭირო მის გასაძლიერებლად და შესანახად, ვიდრე მცენარეულობა. მაგრამ ამასთანავე, ღმერთმა აღუქრძალა კაცს ცხოველის სისხლის ქამა, რადგანაც სისხლი არის უახლოესი ორგანო სულის მოქმედებისა, სისხლი არის აუცილებლად საჭირო სულის ცხოვრების გამოსახატავად; ამიტომ როცა სისხლი აღარ მუშაობს და არ ასაზრდოებს ტვინსა, ისპობა სიცოცხლაც. აღკრძალულია მხეცური ქამა ხორცისა სისხლით, ე. ი. უმი ხორცისა; მიზანი ამ აღკრძალვისა ისაა, რომ კაცი არ დაეჩვიოს მოსისხლეობას, პატივი სცეს ცხოველებს და ღმობიერად მოექცეს მათ. (თ. 9).

ნოეს ჰყავდა სამი ვაჟი სემი, ქამი და იაფეტი. ქამმა ერთხელ დაინახა ნოე შიშველი მწოლარე, დასცინა მას და გაჰკიცხა ძმებთან. ნოემ გამოღვიძების შემდეგ, დასწყევლა ქამი და უწინასწარმეტყველა-მის შთამომავლობას მონობა მისი ძმების შთამომავლობის ხელში; ეს წინასწარმეტყველება აღსრულდა, როცა ურიებმა დაიპყრეს ქანაანის ქვეყანა და დაიმორჩილეს მისი მცხოვრებნი. სემი და იაფეტი კი დალოცა ნოემ, უწინასწარმეტყველა მათ გამრავლება და ყოველივე სიკეთე.

წარღვნის შემდეგ ნოეს და მისი შვილების შთამომავალნი ჯერ სცხოვრობდნენ არარატის მთასთან, სადაც გაჩერდა კილობანი. შემდეგ გამრავლების გამო, მათ მიიწიეს ტიგრისის და ეფრატისაკენ და დასახლდნენ ამ ორ მდინარეთა შუამდებარე, ანუ სენაარის ქვეყანაში. ზოგიერთმა მათგანმა, სახელის მოსახვეჭად, მოისურვა აშენება ქალაქისა და გოდოლისა. ცუდი ამ გოდოლის აშენებაში ის იყო, რომ მაშენებლებმა მოისურვეს ეუ-

*) იხილე „მწყემსი“ 1—2 №№ 1908 წ.

ფლნათ მთელს ქვეყანაზე, იგინი გაიტაცა პატივის და დიდების მოყვარობამ, ამიტომ ღმერთმა შეუ-რივნა მათ ენანი. ენათა შერევა მდგომარეობდა იმა-ში, რომ მაშენებლებს დაუსუსტლათ მესხიერება, ამისგან წარმოსდგა არევ-დარევა სიტყვების ხმარე-ბაში. ენათა შერევის გამო მაშენებლებმა ველარ ააშენეს გოდლოი, რადგანაც ერთმანეთისა აღარა ეყურებოდნენ და აქეთ იქით გაიფანტნენ. (თ. 11.).

ნაწილი III

XI, 26—50. შესაქე ნაწილში მოთავსებულია ის-ტორია ეკვლესიისა აბრამიდან იოსების სიკვდილამდე ეგვიპტეში.

აბრამი იყო მეთე მამათმთავარი წარღვნის შემ-დეგ; ღმერთმა ის გამოიჩინა ქეშმარიტ მორწმუ-ნეთა მამად, წინაპრად იმ ერისა, რომლისგანაც უნ-და დაბადებულიყო ქრისტე მაცხოვარი. აბრამის სამშობლოში ძალიან იყო გავრცელებული კერპო-მსახურება; ღმერთმა უბრძანა მას დაეტოვებინა თავისი სამშობლო და წასულიყო იმ ქვეყანაში, რომელსაც იგი უჩვენებდა. ეს ღმერთმა მიტომ ინება, რომ დაცულიყო აბრამის ოჯახში ქეშმარი-ტი ღვთის-მსახურება, კერპო-თაყვანის-მცემელთა-გან შეურყეველი. ამასთან ღმერთმა აღუთქვა აბრამს კურთხევა და გამრავლება. აბრამიც, მორ-ჩილი ღვთის ბრძანებისა, მთელი ოჯახობით და ქო-ნებით წამოვიდა სამშობლოდან და მოვიდა ხა-რანში. აქ მას მოუკვდა მამა თარა. იქიდან აბრამი ძმისწულის ლოტის თანხლებით წამო-ვიდა ქინანის ქვეყანაში. აქ ღმერთი გამოეცხადა აბრამს და უბრძანა, რომ ამ ქვეყანას დაიმკვიდ-რებს მ-სი ნათესავი; აბრამმა ღმერთს შესწირა სა-მადლობელი მსხვერპლი (თ. 12, 1—9).

ქინანის ქვეყანაში ცხოვრების დროს აბრამი და მისი ძმისწული ლოტი გამდიდრდნენ; მათ ჰყავ-დათ ბევრი ოთხფეხი შინაური საქონელი. აბრამის და ლოტის მწყემსებს ხშირად მოსდიოდათ ჩხუბი საძოვარ ადგილებზე. აბრამი მოერიდა უსიამოვნე-ბას, და წინადადება მისცა ლოტს აერჩია ადგილი, რომელსაც მოიწონებდა და წასულიყო. ლოტმა ამოიჩინა კარგი საძოვარი ადგილები იორდანის პი-რას, სოდომ გომორთან ახლო. ამ რიგად გაიყარ-ნენ ბიძა ძმისწული. ღმერთი კვალად გამოეცხადა

აბრამს ლიტთან გაყრის შემდეგ და აღუთქვა ნათე-სავის გამრავლება, როგორც ზღვის ქვიშისა; აქე-დან აბრამი წავიდა და დაეშენა მამბრეს მუხასთან (თ. 13, 14—18).

სენაარის ქვეყნის მოკავშირე მეფეები თავს დაესხნენ სოდომის მეფეს სდომის იგი და დაარბი-ეს; სხვა ტყვეთა შორის, ტყვედ წაიყვანეს აბრამის ძმისწული ლოტიც; გაიგო თუ არა აბრამმა წარ-ტყვევნა ლოტისა, შეკრიბა თავისი სახლის წულ-ნი (მსახურნი) სამას თვრამეტი კაცი, დაეცა ამ მე-ფეებს თავს, გაათავისუფლა ლოტი და ყველა სხვა ტყვეებიც. აბრამი რომ შინ დაბრუნდა, მას მიეგე-ბა მეფე სოდომისა და სადომის, მეფე მელქისედეკი და მიართვა პური და ღვინო.

მელქისედეკი იყო თაყვანის-მცემელი ქეშმა-რიტის ღვთისა; იგი იყო მცველი ქეშმარიტის სჯულისა; მან დალოცა და აკურთხა აბრამი, როგორც უფროსმა და მღვდელმა ღვთისა მაღლისამ. მანვე მიი-ლო აბრამისაგან მეთედი ნაწილი ნადავლისა, რო-გორც მღვდელმან.

წმიდა მამათა სწავლით, მელქისედეკი მოასწა-ვებდა ქრისტეს. სიტყვა მელქისედეკი ნიშნავს — „მეფე სიმართლისა“, — იესო ქრისტეც არის მეფე სიმართლისა (ფს. 9, 9); ღირსება მელქისედეკისა სადომის, ანუ მშვიდობის მეფისა მოასწავებს ქრის-ტეს — მთავარს მშვიდობისას (ესაია 9, 6) დაბადებ-ში არ არიან მოხსენებულნი მელქისედეკის მშობ-ლები, მისი შობის და სიკვდილის დრო; თანახმად წმ. პავლე მოციქულის განმარტებისა (ებრ. თ. 7) ეს მიტომაა, რომ მელქისედეკ მეფის სახით წარმო-დგენილია ქრისტე, რომელიც ღვთაებრივის ბუნებით არ ეკუთვნის არც ერთ ერს; გარდა ამისა მელქისა-დეკის სახეში შეერთება სამეუფო და სამღვდლო ღირსებათა მოასწავებდა იესო ქრისტეს — საუკუნე მეუფეს, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ და საუკუნო მღვდელთ მთავარს, რომელმაც ერთ-გვის შესწირა თავი თვისი (ებრ. 7, 27) ღესაუკუ-ნო შუამდგომელია ჩვენთვის წინაშე ღვთისა.

მეფეთა ძღვევის შემდეგ აბრამის მდგომარეობა საშიში იყო; ღმერთმა გაამხნევა იგი: ნუ გეშინი, აბრამ, მე შეგეწიო შენი აბრამმა გამოსთქვა სურ-ვილი თავისი მხველის შვილის იზმაილის შვილობი-სა, რადგანაც მას არა ჰყავდა მემკვიდრე; მაგრამ ღმერთმა უბრძანა, რომ მის მემკვიდრედ იქნება

მისი კანონიერი ცოლისგან შობილი შვილი. აბრაამმა ირწმუნა ღვთის სიტყვები, რომ მართლა მისცემდა მას ღმერთი შვილს სარასაგან და ეს ღმერთმა ჩაუთვალა მას სიმართლედ (თ. 14 და 15).

კვალად გამოეცხადა ღმერთი 99 წლის მოხუცებულს აბრაამს, განუმეორა ყველა უწინდელი აღთქმანი, რომ მისგან წარმოსდგება მრავალი ხალხი, მეფენი და მთავარნი და ამისნ ნიშნად თვით სახელიც აბრაამ—მამა დიდი—შეუცვალა „აბრაამ“-ად, მამა მრავალთა თესლთა, რომ აბრაამის ნათესავს შერჩენოდა ეს აღთქმა, მათგან საჭირო იყო სარწმუნოება და კეთილმსახურება. ხილული ნიშანი ღვთისა აბრაამის შორის დადებული აღთქმისა ანუ პირობისა არის წინადაცვეთა ყოვლისა წულისა (ძისა, ვაჟისა). ეს წინა-დაცვეთა ნიშანია მისი, რომ აბრაამის შთამომავლობა იყო ღვთის მიერ რჩეული ყველა სხვა ერთაგან ქეშმარიტი სჯულის და ღვთის მსახურების დასაცველად.—უნდა წინადაცვეთილიყო მხოლოდ წული (ძე) უთუოდ მერვე დღეს შობილგან; მაგრამ ქალები,—რომლებსისათვისაც არ იყო დადებული რაიმე ხილული ნიშანი ღმერთთან კავშირისა,—არ იყვნენ გამორიცხულნი ამ კავშირიდან, რადგანაც ისინი იშვებოდნენ წინადაცვეთილთაგან და თვისგან შობილებსაც წინადაცვეთდნენ; ამასთანავე, ცალი ქმართან ერთად შეადგენდა ერთს ხორცს და მაშასადამე მასაც ეხებოდა ის განწმედა, რომლის ნიშნადაც ითვლებოდა წინადაცვეთა. (თ. 17).

წინადაცვეთა მოასწავებდა ქრისტიანულს საიდუმლოს ნათლისღებისას, რომლის საშუალებითაც კაცი განმართლებული და განწმედილი ცოდვათაგან, უკავშირდება წმ. ეკლესიას.

მალე კიდევ გამოეცხადა ღმერთი აბრაამს სამი მგზავრის სახით მამბრეს მუხასთან და განუმეორა აღთქმა ძის დაბადების შესახებ, რაც მალე ასრულდა (თ. 18).

გაიზარდა ისაკი. ღმერთმა ინება აბრაამის სარწმუნოების გამოცდა და უბრძანა მას მსხვერპლად შეეწირა საყვარელი შვილი ისაკი. აბრაამმა მოამზადა ყოველივე მსხვერპლის შესაწირავად; როცა აბრაამი ისაკის და მსახურების თანხლებით დაუახლოვდა მსხვერპლის შესაწირავად დანიშნულს ადგილს, დასტოვა მთის ძირში მსახურები, აპკიდა ისაკს ზურგზე შეშა, თვითონ დაიჭირა ცეცხლი და

დანა და გაემართა მთისაკენ. გზაზე ისაკმა, რომელიც არა ერთხელ მოხმარებია აბრაამს მსხვერპლის შეწირვაზე, გაკვირვებით ჰკითხა მამას: ამა ცეცხლი და შეშა, სადა არს ცხოვარი ყოვლად დასაწველად? აბრაამმა მიუგო: ღმერთმა იხილოს თავისა თვისისა ცხოვარი ყოვლად დასაწველად, შვილო! როცა მთაზე ავიდნენ, აბრაამმა გააკეთა სამსხვერპლო, დაალოგა ზედ შეშა, დაანთო ცეცხლი, შეკრა ისაკი დადვა ზედ და მოიმარჯვა დანა მის დასაკლავად. მაგრამ ამ დროს მოესმა ზეცით ხმა, რომელიც უბრძანებდა არ ეხლო ხელი შვილისათვის, რადგანაც ცხადად სჩანდა მხურვალეობა მისი სარწმუნოებისა. შვილის ნაცვლად აბრაამმა მსხვერპლად შესწირა ვერძი, რომელიც იქვე ჯაგებში რქებით გაბმულიყო. ასე გათავდა აბრაამის სარწმუნოების გამოცდა.

წმიდა მამები ჰპოვებენ მსგავსებას ისაკის და იესო ქრისტეს ცხოვრებაში. ეს მსგავსება შემდეგ შიამოვლიანად აბრაამი ღვთის სიყვარულისათვის სწირავს თავის შვილს მსხვერპლად, ისე მამაღმერთმა არა ჰრიდა ძესა თვისსა არამედ მისცა იგი ჩვენ ყოველთათვის (რომ. 8, 32, იოანე 3, 18). ისაკი გამოვიდა თავის სახლიდან და წავიდა—მსხვერპლად შესაწირავად დანიშნულს ადგილზე, ვერცთვე იესოც ივნო იერუსალიმის გარეთ გოლგოთაზე. ისაკი განშორდა მსახურებს და ავიდა მთაზე, იესოც მოციქულთაგან განშორებული აღვიდა გოლგოთაზე ჯვარცმად. ისაკმა თვითონ აიტანა თავის ზურგით შეშა, რომლითაც უნდა დაწულიყო, იესომაც თვითონ იტვირთა ის ჯვარი, რომელზედაც აცვეს. ისაკი დაემორჩილა მამის ნებას და სურვილს და არ წინააღმდეგა მას, იესოც ვნების ქაშს მთლად დაემორჩილა მამას ჯვარზე სიკვდილამდე (ფილ. 2, 8). ისაკი უნდა მისცემოდა სიკვდილს სრულიად უდანაშაულოდ, იესოც ივნო და მოკვდა სრულიად უდანაშაულოდ სხვათა დანაშაულისთვის. ისაკის მსხვერპლად შეწირვამ დიდი ლოცვა-კურთხევა გამოიწვია აბრაამის შთამომავლობაზე, იესოს ჯვარცმაც ბევრს მადლს და წყალობას ანიჭებს ყველას, რომელსაც სწამს იგი (თ. 22).

ისაკს ეყოლა ორი ვაჟი—ესავი და იაკობი; სიკვდილის მოახლოვების ქაშს ისაკმა დალოცა ორთავენი; დალოცვის ქაშს უპირატესობა მიენიჭა უმცროსს იაკობს. ამით ნაწყენი და გაჯავრებული ესავი იაკობს მოკვლას დაემუქრა; ამ ხიფათის თა-

ვიდან ასაცილებლად და აგრეთვე ცოლის შესართავადაც, დედის რებეკას რჩევით, იაკობი წავიდა თავის ბიძასთან ხარანში. გზაზე მას დაუღამდა იუდაძღუის ქალაქთან; მან არჩია მინდორში ღამის გათევა; აიღო ერთი დიდი ქვა, დაიდო სასთუმლად და დაიძინა. ძილში მან იხილა ჩვენება. მან იხილა კიბე ქვეყნიდამ ცამდე ამართული; ეს კიბე აერთებდა ცასა და ქვეყანას, კიბეზე ანგელოზები აღიოდ-ჩამოდიოდნენ; კიბის თავში ბძანდებოდა უფალი, რომელიც უბრძანებდა იაკობს: **მე ვარ ღმერთი აბრამისა და ღმერთი ისაკ მამისა შენისა; ნუ გეშინინ, ქვეყანა ეგვიპტისა, რომელსა შენ გძინავს შენ მიგცე და ნათესავსა შენსა.** (თ. 28)

ამ ჩვენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაკობსთვის. ცისა და ქვეყნის შემაერთებელი კიბე ნიშნავდა, რომ განუწყვეტელია კავშირი ანგელოზთა და ღვთისაგან რჩეულ კაცთა შორის; ღვთის გამოცხადება ნიშნავდა მას, რომ თვით იგი უფალი მაღლით ზეცით თვისით ხედავს ქვეყანას და იფარავს იაკობისავით მის მსასობებელ კაცთა; ანგელოზთა ასვლა-ჩასვლა კიბეზე ნიშნავს მისსამსახურს კაცთათვის. ამ ჩვენებას უნდა დაერწმუნებინა იაკობი, რომ იგი იყო ღვთის განგების და საფარველის ქვეშე.

იაკობისგან ნახული კიბე მოასწავებდა, წმიდა მამათა აზრით, ყოვლად წმიდა მღვთის მშობელს (იხილე დაუჯდომელი), რომლის მუცელშიც განხორციელება ინება ზეცით გარდამოსრულობა მაცხოვარმა და რომელიც ამ რიგად გახდა ცისა და ქვეყნის შემაერთებელი.

ღმერთი ამხნეებდა იაკობს და ანუგეშებდა მას ზეციდან. იაკობმა მაღლობის ნიშნად შესწირა ღმერთს მსხვერპლი, აიღო ქვა, რომელიც ედო სასთუმლად, დაასხა ზედ ზეთი და დანიშნა იგი ძეგლად. ამ ადგილს იაკობმა დაარქვა ბეთილი, ანუ სახლი უფლისა.

რაოდენიმე წელიწადი იაკობმა იცხოვრა თავის ბიძა-ლაბანთან, შეიძინა სიმლირე და შეირთო ცოლიც. მოისურვა იაკობმა თავის მამის სახლში დაბრუნება, მაგრამ ეშინოდა ესავისა და სწუნდა ამის გამო ღამე მას გამოეცხადა ვინმე უცნობი, რომელიც **ერკინებოდა** მას, ანუ ეჭიდებოდა; კიდობა დილაღე გასტანა. მოწინააღმდეგე ვერ სძლია იაკობი, მაგრამ ბარკლის ძარღვი კი დაუ-

ბუშა. გათენებისას იაკობის მოწინააღმდეგე წასვლა დააპირა, მაგრამ იაკობმა არ გაუშვა იგი, ვიდრე არ მიიღო მისგან ლოცვა-კურთხევა. იაკობის მებრძოლი, წმ. მამათა აზრით, იყო ძე ღვთისა; ამ ბრძოლამ განაძლიერა იაკობი და განამტკიცა მაშინ რწმენა, რომ მას ვერას დააკლებს ესავი. ამ შემთხვევის შემდეგ იაკობს დაერქვა სახელად **ისრაილი**. (თ. 32)

იაკობს ჰყავდა 12 შვილი; ერთი მათგანი იოსები, რომელიც იაკობს ძალიან უყვარდა, ძმებმა მამის ჩუმაღ გაჰყიდეს. იოსები გაიზარდა ეგვიპტეში, მეფის კარზედ, გაითქვა სახელი, როგორც წყნარმა, ქკუიანმა და ბრძენმა და დიდი კაცი შეიქმნა ეგვიპტეში. ქანაანის ქვეყანაში შიმშილობა ჩამოვარდა; იაკობის შვილები ორჯერ იყენენ ეგვიპტეში და იყიდეს პური იოსებისგან; იოსებმა იცნო ისინი, დაწვრილებით გამოჰკითხა მათ მამის ამბავი, და როცა გაიგო, რომ იაკობი ჯერ ისევ ცოცხალი ყოფილიყო, სთხოვა მას ეგვიპტეში გადასახლებულიყო. იაკობმა შესწირა ღმერთს მსხვერპლი და წარემართა ეგვიპტისკენ თავის შვილებით, რძლებით, შვილის-შვილებით და ყოველივე ქონებით (თ. 46, 47)

როცა იაკობმა იგრძნო სიკვდილის მოახლოება, მოიხმო თორმეტი შვილი და დალოცა ისინი, უწინასწარმეტყველა თვითოეულს პირადი და შთამომავლობის თავ-გადასავალი. განსაკუთრებით ყველა შვილებთან შედარებით, იაკობმა დალოცა მეოთხე ძე თვისი **იუდა**. იაკობმა სთქვა, რომ იუდა სძლევს თავის მტრებს, მას დემორჩილებიან ძმები, შეადარა მისი მომავალი ძლიერება ლომის ძლიერებას. გარდა ამისა, იაკობმა კიდევ უთხრა იუდას: **არა მოაკლდეს მთავარი იუდასგან და წინამძღვარი წყვილთაგან მისთა, ვიდრემდის მოვიდეს, რომლისა იგი დამარხულ არს და იგი არს მოლოდენა წარმართთა** (49, 10). აზრი ამ წინასწარმეტყველებისა ისაა, რომ არ მოისპობიან იუდას ტომიდან მმართველები და მთავრები ერისა, ვიდრე არ მოვა ის, რაც დანიშნულია (დამარხულ არს) მისთვის; ხოლო ის, რომელზედაც ახდება ეს წინასწარმეტყველება არის მოლოდენა წარმართთა, — მთელი ერისა; ანუ იუდას ტომიდან და ნათესავიდან უნდა იშვას ის, რომელსაც ელის მთელი ქვეყანა; ეს წინასწარმეტყველება აღსრულდებოდა მა-

შინ, როცა მოისპობოდა იუდას ტომში საკუთარი მმართველი, ამავე ტომიდან გამოსული. (49 თ.)

ეს წინასწარმეტყველება ეხება მესიას, რადგანაც მხოლოდ მესიას შეიძლება ეწოდოს მოლოდება წარმართთა, რადგანაც მხოლოდ მესია არის წყარო კურნებისა და წყალობისა. წარმართებს მართლა ეჭირებოდათ მესია მხსნელი ისე, როგორც გამოგვალულს მიწას ეჭირებდა წვიმა; ამიტომ ჰქვია მესიას მოლოდება წარმართთა. ეს მოლოდება წარმართთა, იესო მაცხოვარი უნდა შობილიყო იუდას ტომიდან და მართლაც იშვა მაშინ, როცა ურიებს არა ჰყავდათ საკუთარი მეფე, როცა ისინი ემორჩილებოდნენ რომაელებს და ჰყავდათ მეფედ რომაელთაგან დადგენილი კაცი. (თ. 40).

დალოცა იაკობმა თავისი შვილები და უანდერძა მათ, რომ დაემარხათ იგი ქანაანის ქვეყანაში აბრამ და ისაკთან ერთად. ეს ანდერძი შვილებმა აღუსრულეს. იაკობის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები ისევ ეგვიპტეში სცხოვრებდნენ. იოსებმა სიკვდილის წინ სთხოვა ძმებს, რომ როცა ღმერთი მოხედავდა მათ და გაიყვანდა ეგვიპტიდან ქანაანის ქვეყანაში, თან წაეღოთ მისი ძვლები და დაეფლათ მამათა საფლავში. (50).



ღია წერილი ქართველ სამოგადოებას

ყველასათვის აშკარაა, რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ეამად საქართველო, ის საქართველო, რომელმაც თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში სძლია ყოველ-გვარ ისტორიულ დაბრკოლებას, იარსება დამოუკიდებელ კულტურულ ცხოვრებით და კაცობრიობის საერთო საღაროშიაც შესამჩნევი წვლილი შეიტანა. ახლა კი ჩვენი სამშობლო განსაცდელშია, მას მოელის უბედურება, რომელიც სილატაკეში გამოიხატება და რომელსაც შეუძლიან შემდეგში მისი სახელი სამუდამოდ წაშალოს კაცობრიობის საერთო ასპარეზიდან. ჩვენი საზოგადოება, რომელსაც არ ჰყავს საკმაო რიცხვი ღირსეულად მომზადებულ საზოგადო მოღვაწეებისა და რომელსაც არ ძალუძს დაბადოს და აღზარდოს ისეთი ძლიერი პიროვნებანი, რომელთაც უნდა აღაფრთოვანონ და მიანიჭონ მას ცხოველ-ყოფილი ძალა, სულიერად გაღატაკა და დაეცა. თუ გადავ-

ხედავთ ჩვენ პერიოდულ გამოცემებს, თუ გულდასმით თვალს გადავახედებთ საერთოდ ქართველ ხალხისა და კერძოდ ჩვენ მოზარდ თაობის ყოფას, პირველადვე იმ სამწუხარო მოვლენას დავინახავთ, რომ ჩვენ არა გვყავს ინტელიგენცია, არა გვყავან საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც შეეძლოს ჩვენი ეროვნულ და კულტურულ ინტერესების დაცვა. მომავალშიაც საეჭვოა მათი გაჩენა. შავი, საბედისწერო ღრუბლები ისე ძალზე ჩამოლუშულან სამშობლოს ცაზე, თითქოს ლამობენ იმ ცხოველყოფილ მზის სხივების ჩაჩრდილვას, რომელნიც ქართველ ხალხს ისტორიის ეკლანარით მოსილ გზას უნათებდნენ. ჩვენი სტუდენტობა მისცემია რაღაც გამოურკვეველ საღათას ძილს, ჩაფლულა უაზრო-ფუქსავატ ცხოვრებაში და დაუფიწყნია ყოველივე მოვალეობა ადამიანისა იმ საზოგადოებისა და მხარისადმი, რომელმაც იგი თავის მაცხოვრებელ ძუძუთი აღზარდა.

მაგრამ ნათქვამია; „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“; და აი სიტყვებზე მეტად სინამდვილე მკერამეტყველობს: ყოველ წლობით უმაღლეს სასწავლებელს 300-მდე კაცი ათავებს, მაგრამ ეს ახალი ძალის შექმნა ოდნავადაც არ ეტყობა საქართველოს, რომელიც ისევ და ისევ გულ-საკლავ მდგომარეობაში რჩება. ისმის გმინვა, ისმის გოდება ბეჩავ და ტანჯულ ხალხისა, რომელიც შველას გვთხოვს თავის უმაღურ შვილებს.

ჩვენ, სტუდენტთა და ინტელიგენტთა ერთ წრეს, არ შეგვიძლიან გულ-გრილად ვუმზიროთ ამ შემზარავ სურათს; არ შეგვიძლიან არ გავსცეთ პასუხი იმის ხვეწნა-ვედრებას და ჩვენი მცირე შესაწირავიც არ შევსწიროთ იმ სამშობლოს საკურთხეველს, რომელმაც სიცოცხლე მოგვანიჭა. ჩვენ მზადა ვართ გავსწიოთ დაუღალავი შრომა ჩვენის განვითარებისათვის, მაგრამ ეს შრომა რამდენისამე პირისა ვერრას. შემატებს საქმეს და მალამოდ ვერ დაედება იმ წყალულებს, რომელიც უკანასკნელ დროს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო; ამისთვის საჭიროა სტუდენტების რაც შეიძლება მეტი ნაწილის ამოძრავება თვით-განვითარებისათვის. ჩვენთვის საჭიროა საკუთარი ორგანო, რომელმაც უნდა შემოიკრიბოს და მოამზადოს საზოგადოებრივ ასპარეზისათვის მომავალი ღირსეული მოღვაწენი. იმ ქვეყნისათვის, სადაც გასაოცარის დაჯინებით მისდევნ

გარუსების პოლიტიკას, სადაც დედა-ენა სასწავლო-ბლიდან განდევნილია და საკუთარ შვილების მიერაც მივიწყებული. ჩვენ ვფიქრობთ, ეს ორგანო ქართულს ენაზე დიდ სამსახურს გაგვიწევს, რადგან იგი იქნება საუკეთესო სკოლა ენის შესასწავლად და ყველა კულტურულ ნაციონალურ საქმიანობის გამოსარკვევად. ასეთ ორგანოს საქმიანობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს შეგნებულ მოღვაწეთა მომზადებას, მიგვითითებს არა თუ ჩვენი ასეთი შემადარწუნებელი, გულსაკლავი მდგომარეობა, არამედ თვით ისტორია, თუნდ რუსეთის კულტურისა: მოვიგონოთ დიდების შარავანდედით მოსილი წრეები „ბელინსკისა“, „ოტეჩ. ზაპისკა“ — ისა და სხ., სადაც ისეთი ადამიანები გამოიზარდნენ, რომელთაც აურაცხელი ღვაწლი დასდეს თავიანთ სამშობლოს და რომელთაც აღიღებს დღეს არა მარტო მათი სამშობლო რუსეთი, არამედ მთელი მოაზროვნე კაცობრიობა.

გვწამს, რომ ჩვენს საზოგადოებაში გამოჩნდებიან ისეთები, რომელთაც „ერის წყლული უჩანსთ წყლულად, დაედაგვისთ ტანჯვით გულით; გვჯერა, რომ ჩვენი მშობლები და ჩვენი უფროსი ძმები, რომელნიც უკვე გაბმულან სამშობლოს საკეთილდღეო მძიმე უღელში, არ დაიშურებენ ზნეობრივსა და მატერიალურ დახმარებასაც.

რედაქცია ყოველ-თვიური ჟურნალის
„ამომავალი მზე“.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი. სახ 44.

ეხლანდელ დროს, როდესაც სტუდენტობა თითქმის მთლად გადაგვარების გზაზედ არის დამდგარი, და საქართველო თავისი საზოგადო საქმეებით, ჩირადაც არ მიაჩნიათ, ასეთი აღფრთოვანებული სურვილი, თუნდაც რომ პატარა ჯგუფის გამომეტყველი იყოს იგი, მეტად სასიამოვნო გასაგანია. ვისურვებთ მხოლოდ, რომ ამ კეთილ განზრახვას, მუშაობაც შესაფერისი მოწყალოდეს და ამასაც ჩაილულოს წყალი არ დაელიოს, ისე, როგორც მრავალ ჩვენში გამოწყობილ საქმეს, არამედ თავისი ნაყოფიერის მუშაობით ალტაცებაში მოეყვანოს სასო წარკვეთილებას მიახლოებული თანამედროვე ქართველი. საქირა, ჩვენმა საზოგადოებამ თანაგრძნობით დახმარება გაუწიოს ასეთს სასიქადულო საქმეს.

რქდ.

შ ე წ ი რ უ ლ ე ბ ა

მამა რედაქტორო!

ამ წლის იანვრის თვეში, რწმუნებულს ჩემდამო ზედარგნის მთავარ ანგელოზის ეკკლესიას შემოსწირეს: აზნაურმა გრაფელ — იგივე ჯიბო იოსების ძე აბაშიძემ; სანტენხლური ბრინჯაოსი, დირებული ოთხ მანეთად; ბესარიონ სიმონის ძე სიკინჭაღაშვილმა ტრაპეზულ დასადგმელი სამღეროვანი სასანთლე, დირებული ხუთ მანეთად; და ბესარიონ სანინის ძემ ბუსრაშვილმა წმიდის ნიკოლოზის სასწავლო-მომქმედის ხატი, დირებული სამ მანეთად.

უმორჩილესად გთხოვთ, მამა რედაქტორო, ამ ზემოაღნიშნულ დუთის-მოყვარე ზირებს ჩემი უდრმესი მადლობა გამოეცხადოს თქვენის გასუთის „მწეუმიის“ საშუალებით. ფრად სასურველია ასეთ კეთილ მაგაფითს სხვებმაც წაჭაძონ. მღვ. ბესარიონ ვაშაძე.

რედაქციის პასუხი.

ბლად. მ. ს. ჭელიძეს. მწარე გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენს სამღვდლოებაშიაც ბევრი ყოფილან ექსპროპრიატორები. პირველი ადგილი ამისთანა მოქმედებაში უჭირავსთ უფრო მეტად მამა მოწესრიგეთ. შეგვატყობინეთ მათი სახელები, რომელნიც მთელ წელიწადში ჟურნალს იღებდენ და ბოლოს უარი ვითხრესთ ფულების მოცემაზე. ჩვენი გამოცემა ხომ სავალდებულო არ იყო... ჟურნალი არავის არ გაეგზავნება უფულოდ.

მამა გ. გამრეკელს. ჟურნალი მოგივით. არ ვიცი როგორი პანაშვილის წესის წიგნი გნებავთ, ქართული თუ რუსული? გიგზავნით ქართულს ენაზე დაბეჭდილს.

მღ. ი. იაშვილს. სიღნახს. ჩვენი ჟურნალის ხელმოსაწერი ფასი სამი მანეთია და არა ერთი მანეთი. ხელის მოწერა შეიძლება წლით და ნახევარი წლით. წინეთაც დაგვიპირდით ხოლმე დანარჩენ ფულს გამოგიგზავნით თავის დროზე, მაგრამ არ გამოგზავნით ხოლმე და ამიტომ აღარ გამოგზავნით ჟურნალიც: თუ გსურსთ ამ წელში ჟურნალი, ფული გამოგზავნეთ და მიიღებთ.

ბლადოზ. მღ. გორდენიანს. რატომ არ თანხმდებით მედიატორის სამართალზე? ველით პასუხს. ჩვენ უკვე დანიშნული გვყავს კაცები და თქვენც დანიშნეთ ვინმე ორი.

წელიწადი

მ ე ხ უ თ ე

1908.

სანატორიუმი

და

საზაფხულო სამუროვი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოწარმე ქალ-ვაჟთათვის 9-15 წლამდე

„პატარა-ცემში“, გაკურნანის რკინის გზაზედ.

საზაფხულო
მთის სადგური
4400 ფუტის
სიმაღლეზედ.

„პატარა-ცემში“ მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთაზედ, ბაკურიანის რკინის გზაზედ, სადგურ ნიკოლაევისა და საკოჭავს შუა, მაღლობ ვაკეზედ, 4400 ფუტის, ანუ 1340 მეტრის სიმაღლეზედ. (230 ფუტით მაღალია აბასთუმანზე).

მიიღებიან: ვინც არის ნაავადმყოფარი, სხვადასხვა სნეულებებისაგან დალილი-დ.სუსტებული, მეტადრე ვისაც გამოვლილი აქვს განმეორებით: ინფლუენცა, ბრონხიტი, ფილტვის სხვა-დასხვა ავადმყოფობა; ვინც მაღა-დაკარგულია, სისხლ-ნაკლები, ნერვებ-აშლილი, ჭაობის ციებით ანუ ტყვირის გადიდებით დასუსტებული; ვისაც სხეული დასძაბუნებია ჰაერის, სინათლისა და საზრდოს ნაკლებობით, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; სტომაქისა და ნაწლავების აშლილობით დასნეულებული, გონებით მოქანცული და საერთოდ ყველანი, ვისაც-კი სამკურნალო მეცნიერების რჩევით ესაჭიროება: ჰაერის გამოცვლა, დასვენება, სხეულის გამაგრება და ქალაქის მორიდება ცხელ ზაფხულის თვეებში.

არ მიიღებიან: მწოლიარე ავადმყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, ფილტვის სიქლეკით დაავადმყოფებულნი, სულით ავადმყოფნი და არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-ადგილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს.

სამკურნალო საშუალებად არის დასახული შემდეგი:

- 1) მთის წმინდა ჭკერა, მჩატე, გრილი, ფიჭვის სუნით შესავებული და ეოველკვარ უსუფთაობას მოშორებული.
 - 2) გონებისა და სხეულის დასვენება, სრული მუუდრეობა, შუა-გულ ტეეში ყოფნა, უსიამოვნო ხმაურების მოშორებით.
 - 3) უხვი საზრდობა დღეში ხუთჯერ: საუზმე დილის 8 ს., მეორე 10 ს., სადილი 1 ს., საშხარი 4 ს., ვახშამი 7 ს.
 - 4) წყლით ექიმობა: ტანის დაზელა, დუში და აბანო, აგრეთვე ჭკერის აბანო.
 - 5) სხვა და სხვა გვარი შექცევას-თამაშობა.
 - 6) სამკურნალო ვარჯიშობა.
 - 7) სახალისო და გასართობი სამუშაო და სხვა და სხვა ხელ-საქმე, საადვილო და სხეულისათვის მრგებელი თვითულის აკუბულებასთან შერწყული.
 - 8) ჯგუფებად სეირნობა და მოგზაურობა ახლო მიდამოებში.
 - 9) სხვა წამლებით ექიმობა მხოლოდ აუცილებელ საჭიროების დროს.
- ყოველი ზემოხსენებული საშუალება შემოღებულია მეცნიერებისაგან დამტკიცებულ წესისამებრ და კერძოდ თვითულის აკუბულებასთან არის შეფარდებული, ექიმის მუდმივ ხელმძღვანელობით.

ყოველივე შემოსენებულო, როგორც ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაამტკიცა უცხოეთის უგულა კუთხეებში და შეცნობურებაშიც გამოარკვეა, სხვაგვარ-წამლობაზე უფრო წარმატებით ჭკუნანეს შემოდ აღნიშნულ სნეულე-ბათ; ასე რომ ესეა უფულასაკან სასარგებლოდ არის და-სახული სასარგებლოების ბუნებრივი მკურნალობა, რასაც შედეგად მოჭკვება ხოლო შემდეგო ცნობილება: უოველ მოზარდს ემატება წონა, ძალა და ღონე, უტანოვრდება მკერდი, უმაგრდება კუთები, სნეულის საზრდობა უმჯობესდება, მოდუნებულ აკუბულობას სამარჯვე ემატება და გონებას სიფხობლე, ხასიათი მშვიდდება და სწორდება, ტრლ-ამხანაგებში უოფნით ერთობა და ზნეობრავად იწვრთება, და რასაკვირველია, უოველივე ეს დიდათ ხელს უწყოებს და აწინაურებს სნეულითაც, გონებითაც და ზნეობრავადაც ბავშვსა და მოზარდს.

უგულანი იუოფუბიან ჯტუფუბად ღონის, სქესისა და წლოვანობის მიხედვით. თვითუელ ჯტუფს ჭვავს სა-კუთარი თვალ-ურის მტლებელი და უგულას-კი საერთოდ — მუდმივი ხელმძღვანელი ექიმი.

სამკურნალოდ დანიშნულია ზაფხულის თვეები: 15 იანისიდგან 31 მარამაზისთვემდე.

გისაც ჭსურს სამკურნალოდ მოსვლა, წინდაწინვე უნდა გამოგზავნოს ავადმყოფობის სრული აღწერილობა და ადგილობრივი ექიმის წერილიც. საბოლოო გარდაწვეუ-ტა შიღების შესახებ მხოლოდ ავადმყოფის პირადად ნახვის შემდეგ არის შესაძლებელი.

უოველ კვირას მშობლებს გაეგზავნებათ წერილი სასარგებლოების ექიმისაგან და უწუწუბათ მათი შვილის მდგომარეობის აზრავი.

დაწვრილებით ცნობების შესატუობად მსურველთ უნდა მიმართონ ექიმს ვახტანგ დავითის ძეს ღამბაშიძეს, მისის 31-მდე ქალაქ თბილისს, შემდეგ-კი ბორჯომით, მატარა-ტემის სასარგებლოებში.

მისასგლელო გზა: ბორჯომიდან ორი საათის სავალზე, ბაკურაიანის რკინის გზით, მე-25 გერსზე სდგურ ნიკოლაეფოს შემდეგ საკუთარი ბაქანა: „ღამ-ბაშიძის ბაქანი“, სადაც უოველი სახალხო მატარებელი ჩერდება საკუთრად სასარგებლოებისათვის.

მატარებლების მიმოსვლა ბორჯომიდან ბაკუ-რაიანმდე და უკან — დღეში ორჯელ.

ადრესი: ფოსტი: თბილისი, ექიმს გ. ღამბაშიძეს 31 მისამდე, შემდეგ-კი: ბორჯომით — „მატარა-ტემს“ ექიმს გ. ღამბაშიძეს. ტელეგრაფით: ბორჯომი ღამბაშიძეს.

მოკლი ხანოი გამოვხა ქალა თბილის

**ქართული
სამკურნალო
უქრსილი**

სახალხო საფიქით და საპიტიონ სურათიანი ქურნალი

ურნალოში მოთავსებული იქნება: საგულის-ხმო კითხვები მეცნიერებიდან, სამკურნალო და საპიტიონო ცნობების განმარტება, ავადმყოფობას-თან ბრძოლა და ავადმყოფების მოვლა, მოსწავლი-სა და მუშა-კაცის პიტიონა, სამკურნალო დარგის საპიტიონიანი ქალაქად და სოფლად, მკითხველები-სათვის საექმო კითხვათა განმარტება და საერთოდ ყოველივე, რაც-კი საპიტიონა ჯანმრთელობის შერჩე-ნისათვის და სხეულის კეთილდღეობისათვის.

ფასი: გავზავნით 20 № — მანეთად, ცალკე № — ორ შაურად, ხოლო დამატებიანი — სამ შაურად. ფულის გადახდა შეიძლება ათ-ათ შაურობითაც.

ურნალის დაკვეთა შეიძლება: ქ. თბილისში: № 5, სლბცოვის ქუჩაზე, წერა-კითხვის გამავრცე-ლებელ საზოგად., „ცოდნა“-სა და კიქანძის წიგ-ნის მაღაზიებში; ქ. ქუთაისში ბ-ნ ტრიფონ ღამბა-შიძესთან; დ. ყვირილაში — „მწყემსი“ — ს რელაქ-ციაში.

ფოსტის ადრესი: თბილისი, ექ. ვ. ღამბაშიძეს.

მსურველთ სანიმუშო № უფასოდ გაეგზავნებათ. რელაქტორ-გამომცემელი ექ. ვახტანგ ღამბაშიძე.

პიტიონებ:

რადგანაც მოულოდნელისა და ჩვენგან დამოუკი-ლებულის მიზეზით, საკუთარ სტამბაში „მწყემსი“-ს დაბეჭდვა დაბრკოლდა, იძულებული გავხდით ქალა-ქს გადაგვეტანა ურნალის აწყობა და დაბეჭდვა, ამისათვის ამ №-ის გამოცემაში ამ თვეში შევიგვიანა.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურა განმოსვილება: სინილისის სამ-სჯავროს წინაშე (თარგმანი). — ფიციკალური ცნობა. — სა-ხელმწიფო სათათბირო. — მწარე ფიქრები. — ლექსი — ურ-ნალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები. — ლოცვა წ. მამისა ეფ-რემ ასურელისა. — სჯულდებითი წიგნები ძველი აღთქმისა. (გავრძელება). — ღია წერილი ქართველ საზოგადოებას. — რელაქციის პასუხი. — განცხადება.

რელაქტორ-გამომცემელი დეკ **ღ. ღამბაშიძე**, 29 თებერვალი, 1908 წ.

მსწრაფლ-მბეჭდავი „ძმობისა“ მოსკოვის ქუჩაზე, № 5.